



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი
თამარ დანელია

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე: პასუხისმგებლობა სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების
მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანისათვის

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი რუსიაშვილი
სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი

I. შესავალი.....	1
II. ძირითადი ნაწილი.....	3
1. ზიანის ცნება, სახეები და მისი ანაზღაურების ფუნქცია	3
1.1 ზიანის ცნება.....	3
1.2 ზიანის სახეები.....	5
ა. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი.....	5
ბ. ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანი.....	6
გ. პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი.....	8
1.3 ზიანის ანაზღაურების ფუნქცია და ანაზღაურებადი ზიანის ოდენობის განსაზღვრა	9
2. მორალური ზიანის განსაზღვრება და მისი ანაზღაურებადობა	11
2.1 არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება	11
ა. „ფსიქიკური ზიანის“ და „ფსიქიკური ტანჯვის“, „ფიზიკური ზიანის“ და „ფიზიკური ტანჯვის“ ურთიერთმიმართება.....	12
ბ. მორალის, ზნეობისა და მორალური ზიანის ცნების ურთიერთმიმართება.....	14
2.2 სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი არაქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზანი.....	15
2.3 მორალური ზიანის ანაზღაურებადობა.....	16
3. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები	21
3.1. მორალური ზიანის არსებობა	21
3.2 არაქონებრივი უფლებების ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედება	24
3.3 მიზეზობრივი კავშირი	26
3.4 ბრალი.....	28
4. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური (არაქონებრივი) ზიანის ოდენობა.....	32
4.1 განსაზღვრის კრიტერიუმები.....	32
4.2 ანაზღაურების ოდენობა სასამართლო პრაქტიკის მიხედვით	34
5. არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება აღქმა-გაცნობიერების უნარის დაკარგვისა და დაზარალებულის გარდაცვალებისას.....	36
5.1 აღქმა-გაცნობიერების უნარის დაკარგვის შემთხვევა.....	36
5.2 დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევა.....	37

ა. მემკვიდრეთა მიერ მამკვიდრებლისათვის მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.....	38
ბ. გარდაცვლილის მემკვიდრეთა დამოუკიდებელი მოთხოვნა.....	39
6. სხელის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმის განხილვის თავისებურებანი	40
6.1 წარმოების სახე, სარჩელის საგანი და საფუძველი.....	40
6.2 მხარეები და მათი მტკიცების ტვირთი	42
6.3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი.....	43
6.4. მოთხოვნის ხანდაზმულობა	44
III. დასკვნა.....	45

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია, სხვა უფლებებთან ერთად, აღიარებს რა ადამიანის უფლებას სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე, განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან მათი ეფექტურად დაცვის მექანიზმს. შესაბამისად, სხეულის დაზიანების ან/და ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ის წარმოადგენს ადამიანის დარღვეული ჯანმრთელობის უფლების აღდგენის, დაზარალებულის დაკმაყოფილებისა და მომავალი სამართალდარღვევების პრევენციის საშუალებას.

წინამდებარე თემის ფარგლებში აღნიშნული საკითხის განხილვა აქტუალურია, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული თვალსაზრისით, რამდენადაც სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობამ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა აღიარებამ, განაპირობა არაქონებრივი, მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის ნორმატიულ დონეზე განმტკიცება, მათ შორის სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანისათვის, თუმცადა კანონმდებელს არ განუსაზღვრავს ურთიერთობის მოწესრიგების ზუსტი მექანიზმი. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით აუცილებელია განისაზღვროს მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობები, მოთხოვნის ფარგლები და მისი განსაზღვრის კრიტერიუმები, რათა ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი პრაქტიკა და დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს ჰქონდეთ ზუსტი წარმოდგენა იმაზე, თუ რა შემთხვევებში და რა ფარგლებში დგება პასუხისმგებლობა სხეულისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ვნებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ თემა შეეხება სხეულისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ვნებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობის აუცილებელ წინაპირობებს, სსკ-ს 413-ე მუხლით გათვალისწინებული - სამართლიანობისა და გონივრულობის - კრიტერიუმების გაანალიზებას, ასევე, კანონმდებლობით პირდაპირ გაუთვალისწინებელ პრობლემურ საკითხებს, როგორცაა - ფიზიკური დაზიანების შედეგად დაზარალებულის გარდაიცვალისა ან ამ უკანასკნელის მიერ აღქმა-გაცნობიერების უნარის დაკარგვის შემთხვევებში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

შესაბამისად, თემის ფარგლებში ზემოაღნიშნულ პრობლემურ, შეფასებითსა და კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ საკითხებთან მიმართებით გაანალიზებულია, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, ისე სასამართლო პრაქტიკის მიდგომები. ამასთანავე, გააზრებულია, აღნიშნული საფუძვლით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო-სამართლებრივი თავისებურებანი, რამდენადაც მოთხოვნის დაკმაყოფილება დიდად არის დამოკიდებული, როგორც მატერიალური საფუძვლების არსებობაზე, ისე საპროცესო მოქმედებათა სწორად განხორციელებაზე.

ნაშრომის მიზანია:

1. არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნების, არსისა და მნიშვნელობის დადგენა;

2. სხეულის დაზიანებისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ამოსავალი პრინციპების, ამოცანებისა და ფუნქციების განსაზღვრა და მათი მიმართების დადგენა ზოგადად ზიანის ანაზღაურების ამოსავალ პრინციპებთან, ამოცანებთან თუ ფუნქციებთან;
3. სხეულის დაზიანებისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობების განსაზღვრა და მათი მიმართების დადგენა ზიანის ანაზღაურების ზოგად წინაპირობებთან;
4. სხეულის დაზიანებისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, უფრო კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრა;
5. ისეთი პრობლემური შემთხვევების გამოკვეთა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა, როდესაც არაქონებრივი ზიანი სხეულის დაზიანებისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით ფაქტობრივად დგება, თუმცა მისი ანაზღაურების არც კონკრეტული საკანონმდებლო საფუძველი არსებობს და არც ქართული სასამართლო პრაქტიკის განხილვის საგანი არ გამხდარა;

შესაბამისად, მოცემული მიზნის მისაღწევად, თემის ფარგლებში, გაანალიზებულ იქნა, საკითხთან მიმართებით ქართულ და უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, გააზრებულ იქნა, სასამართლო პრაქტიკა, როგორც ქართული ისე უცხო ქვეყნების მაგალითზე.

II. ძირითადი ნაწილი

1. ზიანის ცნება, სახეები და მისი ანაზღაურების ფუნქცია

წინამდებარე თემის ფარგლებში განსახილველი საკითხის, კერძოდ, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თავისებურებებისა და ამ უკანასკნელთან მიმართებით არსებულ პრობლემათა განსასაზღვრად, უპირველესად, აუცილებელია დადგინდეს ზოგადად ზიანის, როგორც სამოქალაქო უფლებების დაცვის გავრცელებული საშუალების, ანაზღაურებადობის საკითხი. მოცემული აუცილებელია იმდენად, რამდენადაც შემდგომ განისაზღვროს და ნათლად გამოიკვეთოს სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით არსებული განსხვავებანი.

1.1 ზიანის ცნება

სამოქალაქო ბრუნვაში ურთიერთობის მონაწილეთა მიერ სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელების პროცესში ცალკეული უფლებები შესაძლოა დაირღვეს. ურთიერთობის მონაწილე ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევას ყოველთვის მოყვება მეორე მხარის უფლების დარღვევა. შესაბამისად, ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამოქალაქო სამართლის დაცვითი ფუნქცია, რომლის უპირველესი მიზანია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ქონებრივი ინტერესების დაცვა. ეს უკანასკნელი მიმართულია იმისკენ, რომ კეთილსინდისიერ სუბიექტებს შეუნარჩუნოს ქონებრივი მდგომარეობა იმ მდგომარეობით, რომლითაც ისინი შელახვამდე არსებობდა. ამასთანავე, ზოგადი პრაქტიკით იგი ხორციელდება დარღვეული უფლებების აღდგენის ან დაზარალებულისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაციის გზით.¹

გარდა ამისა, როგორც წესი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა შეესაბამება მიყენებული ზიანის ოდენობას, თუმცა აქაც შეიძლება არსებობდეს გამონაკლისები, მაგალითად, მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის შეუძლებლობისას, არაქონებრივი ზიანის შემთხვევა, როდესაც ზიანს მატერიალური გამოხატულება არ გააჩნია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სწორედ დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენაში ჩანს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკომპენსაციო ხასიათი,² რაც როგორც აღინიშნა მიყენებული ზიანის ანაზღაურებით ხორციელდება.

¹ გალდავა, გ. (2009). „სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით“. *სამართლის ჟურნალი* #1, გვ.126.

² დუნდუა, მ. (2009). „დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა“. *სამართლის ჟურნალი* #1, გვ.53.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართული კანონმდებლობა არ იძლევა ზიანის ცნების ლეგალურ დეფინიციას, რაც გულისხმობს, რომ მისი განსაზღვრება იურიდიული ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად უნდა მოხდეს.

ზიანი - სოციალური ცნებაა. უფრო ფართო გაგებით ის შეიძლება განიმარტოს, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ხელყოფის, კანონით დაცული უფლებების და ინტერესების დარღვევის შედეგი.³

სამოქალაქო სამართალში ზიანის ცნება განიმარტება, როგორც პირის ქონებაზე, უფლებებსა, ინტერესებსა თუ სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი,⁴ პირის უფლებების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.⁵ ამასთანავე, ზიანი არის ფულადი სხვაობა ზიანის მიყენებამდე და მას შემდეგ არსებულ მდგომარეობას შორის.⁶ ის განიმარტება, როგორც კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა).⁷

მოცემული საკითხის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია შევხვით ზიანის ნატურალურ ცნებას, ე.წ. „სხვაობათა ჰიპოთეზას“ და ნორმატიული ზიანის ცნებას. კერძოდ, ნატურალურ ზიანად მიიჩნევა ნებისმიერი არანებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი, რაც გამოწვეულია აქტივების შემცირებით ანდა პასივების ზრდით, ასევე, შემოსავლების მიუღებლობით.⁸ რაც შეეხება ე.წ. სხვაობათა ჰიპოთეზას მის თანახმად ქონებრივი ზიანი მაშინაა სახეზე, როდესაც პირის ქონება ზიანის გამომწვევი მოვლენის შედეგად იმაზე ნაკლები გახდა, ვიდრე მის გარეშე იქნებოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი არსებობს დაზარალებულის უფლება მოითხოვოს პირვანდელი მდგომარეობის

³ ბარაბაძე, ნ. (2012). „*მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა*“. თბილისი. გვ.17.

⁴ Oertel, T. K. (2008). In Schulze, R. & Koziol, H. eds. „*Tort Law of the European Community*“. Springer-Verlag/Wien. p. 476, line 18/105. ქოჩაშვილი, ქ. (2009). „ბრალი როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა“. *სამართლის ჟურნალი #1*. გვ. 82.

⁵ ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)“. *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*, გვ.109.

⁶ Yamamoto, K. (2015). In Koziol, H. eds. „*Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective*“. Vienna ·Graz. p. 563, line 7/216.

⁷ გადაწყვეტილება, №ას-459-438-2015 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 7 ოქტომბერი).

⁸ რუსიაშვილი, გ. (2017). *civilcode.ge*. სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი. მუხლი 408, ველი 8 და შემდგომნი. ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)“. *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*, გვ.109.

აღდგენა, ხოლო მისი აღდგენის შეუძლებლობის ან არასაკმარისობის შემთხვევაში მოითხოვოს კომპენსაცია.⁹

მიუხედავად ზემოაღნიშნულთა გათვალისწინებისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისინი სრულად არ წარმოაჩენენ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ზიანის არსს. კერძოდ, ნებისმიერი უარყოფითი შედეგი ცალსახად ყველა შემთხვევაში არ ექვემდებარება ანაზღაურებას, შესაბამისად, აუცილებელია მისი მოდიფიცირება ზიანის ე.წ „ნორმატიული ცნებით“. მოცემულის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ზიანი არის სამართლებრივი და არა ბუნებრივი კატეგორია,¹⁰ რაც გულისხმობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებადი, სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი.¹¹ ხსენებული ე.წ „ნორმატიული ცნება“ ზღვარს დებს და აღგენს, რომ ზიანი წარმოადგენს პირის სამართლებრივად დაცული სიკეთის, მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წესჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით.¹²

1.2 ზიანის სახეები

იურიდიულ ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში, ზიანის სახეებად დაყოფის უამრავი ვარიანტი არსებობს და მათ კლასიფიკაციაზე გავლენას ახდენს სამართლებრივი ტერმინოლოგია, კერძო სამართლის ისტორიული განვითარება ამა თუ იმ მართლწესრიგის საზღვრებში, ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების დონე და სხვ.¹³ საერთო ჯამში კი მოცემულ კლასიფიკაციას საკმაო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ა. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი

იმის გათვალისწინებით, რომ ზიანი შესაძლოა სახეზე გვექონდეს, მიუხედავად იმისა, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას არეგულირებს ვალდებულების წარმოშობის სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო (კანონისმიერი) საფუძველი, შესაბამისად,

⁹ კროპკოლერი, ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი*. თბილისი. გვ.118.

¹⁰ Menyhárd, A. (2015). In Koziol, H. eds. „*Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective*“. Vienna ·Graz. p. 287.

¹¹ გადაწყვეტილება, ას-1322-2018 (საქართველოს უზენაესი სასამართლო აპრილი 4, 2019). ჭანტურია, ლ., ზოიძე, ბ., ნინიძე, თ., შენგელია, რ., ხეცურიანი, ჯ.. (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III*. თბილისი. გვ 366.

¹² Koziol, H. (2015). In Koziol, H. eds. „*Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective*“. Vienna ·Graz. p.194, line 3/61 and following. ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)“. *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*, გვ.109.

¹³ ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). „*სახელშეკრულებო სამართალი*“. თბილისი. გვ. 659

ამ უკანასკნელთა დარღვევით გამოწვეული ზიანიც შეიძლება იყოს სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო.¹⁴ მოცემული დაყოფა პირობითია და მათ შორის ძრითადი მიჯნა გადის იმაზე - მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ თუ არა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში.

შესაბამისად, სახელშეკრულებო ზიანი სახეზეა იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან, ადმინისტრაციული აქტიდან ან კანონიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევას/შეუსრულებლობას; (თუ ზიანის მიყენებამდე მხარეები იმყოფებოდნენ გარკვეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში).¹⁵ ამასთანავე, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, მხარეები უკვე იმყოფებოდნენ გარკვეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, პასუხისმგებლობაც დამდგარი ზიანისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ან იმ კანონის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს არსებულ სამართალურ ურთიერთობას.¹⁶

არასახელშეკრულებო ზიანი კი გულისხმობს ზიანს რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, რომლის დროსაც მხარეები ადრე არ იყვნენ ერთმანეთთან ვალდებულებით ურთიერთობაში. კერძოდ კი ასეთი ზიანი სახეზეა დელიქტიდან გამომდინარე.¹⁷

საყურადღებო და არსებითია, რომ თუ სახელშეკრულებო ზიანი წარმოადგენს ადრე არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგს, არასახელშეკრულებო ზიანი წარმოადგენს ადრე არარსებული ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს.¹⁸

ბ. ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანი

ზოგადი განმარტებით, ქონებრივ ზიანში იგულისხმება ქონებრივი კეთილდღეობის ისეთი შემცირება, რომელსაც, ჩვეულებრივ, შეესაბამება ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულება, ანაზღაუროს მიყენებული ზიანი, გამოასწოროს თავისი

¹⁴ ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). „სახელშეკრულებო სამართალი“. თბილისი. გვ. 648-649.

¹⁵ ბარაბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“. თბილისი. გვ.19. ქოჩაშვილი, ქ. (2009). „ბრალი როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა“. სამართლის ჟურნალი #1. გვ. 82.

¹⁶ ბარაბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“. თბილისი. გვ. 19

¹⁷ ბარაბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“. თბილისი. გვ.19-20. ქოჩაშვილი, ქ. (2009). „ბრალი როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა“. სამართლის ჟურნალი #1. გვ. 82. ძლიერიშვილი, ზ. (2013). „მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე“. ადვოკატი #2. გვ. 32.

¹⁸ ბარაბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“. თბილისი. გვ. 20

მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის მომტანი შედეგები.¹⁹ ამასთანავე, სამართალურთიერთობის დარღვევის მატერიალურ შედეგს, ზიანს, რომელსაც ფულადი, ღირებულებითი ხასიათი გააჩნია, ქონებრივი ზიანი ეწოდება.²⁰ ის შეიძლება გამოიხატოს არსებული აქტივების შემცირებაში ან/და შემოსავლის მიუღებლობაში.²¹

სხვაობათა ჰიპოთეზის თანახმად, კი როგორც უკვე აღინიშნა, ქონებრივი ზიანი მაშინაა სახეზე, როდესაც პირის ქონება ზიანის გამომწვევი მოვლენის შედეგად იმაზე ნაკლები გახდა, ვიდრე მის გარეშე იქნებოდა.²² ამასთან, მოცემული შეიძლება დაიყოს პოზიტიურ (გარკვეულ დროსა და სივრცეში უკვე დამდგარი) და ნეგატიურ (მიუღებელი შემოსავალი) ზიანად.²³

პოზიტიური, იგივე რეალური (საკომპენსაციო) ზიანი მოიცავს დაზარალებულის არსებული ქონების შემცირების ან გასავლების გაზრდის შემთხვევას. ამ უკანასკნელის ანაზღაურების მიზანია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ანუ დაზარალებულისათვის იმის დაბრუნება, რაც მას ისედაც ეკუთვნოდა.²⁴

რაც შეეხება მიუღებელ შემოსავალს ეს არის შემოსავალი, რომელიც შეიძლებოდა მიეღო პირს სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების პირობებში. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია და მისი ანაზღაურებისათვის საჭიროა ყველა მნიშველოვანი გარემოებების შეფასებიდან ჩანდეს მისი დადგომის შესაძლებლობა და ის თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.²⁵

¹⁹ პეპანაშვილი, ნ. (2016). *სადოქტორო ნაშრომი „სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება“*. გვ. 33.

²⁰ Sugarman, S. D. ((forthcoming 2013)). „Tort Damages for Non-economic Losses (in cases of physical injury to the person) “. In Bussani, M. and Sebok, A. eds., *A Chapter from Comparative Tort Law*. Edward Elgar. p. 201. ბარაბაძე, ნ. (2012). *„მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“*. თბილისი. გვ.20.

²¹ Oliphant, K. (2008). In Schulze, R. & Koziol, H. eds. *„Tort Law of the European Community“*. Springer-Verlag/Wien. p. 256, line 11/33.

²² კროპკოლერი, ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი*. თბილისი. გვ.118.

²³ Yamamoto, K. (2015). In Koziol, H. eds. *„Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective“*. Vienna ·Graz. p. 563, line 7/219 and following.

²⁴ Yamamoto, K. (2015). In Koziol, H. eds. *„Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective“*. Vienna ·Graz. p. 564, line 7/220 and following. ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). *„სახელმწიფოებრივი სამართალი“*. თბილისი. გვ. 652.

²⁵ განჩინება, #28/2771-15 (თბილისის სააპელაციო სასამართლო 2016 წლის 23 მარტი). განჩინება, #ას-153-2019 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019 წლის 8 მაისი). განჩინება, ას-1851-2018(b) (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019 წლის 2 მაისი).

ერთი სიტყვით მიუღებელი შემოსავალი არის წმინდა ეკონომიკური დანაკარგი, რომელიც მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა მოვლენები ნორმალურად, რომ განვითარებულიყო.²⁶

მორალური ზიანი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ზიანი, რომელიც არ არის გამოწვეული ქონების შემცირებით. ეს უკანასკნელი ვერ გაიზომება ფულით და ვერ იქნება შეფასებული ეკონომიკურ კატეგორიად.²⁷ ლიტერატურაში ის განიმარტება, ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელსაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდია ამა თუ იმ სიკეთის ხელყოფით.²⁸ ასევე, ის განიმარტება, როგორც ფსიქო-ფიზიკური მთლიანობისთვის მიყენებული ზიანი²⁹ ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად კანონით დაცული სიკეთეების ხელყოფით გამოწვეული პირის სულიერი ტანჯვა.³⁰ (თემის მიზნიდან გამომდინარე არაქონებრივი ზიანის ცნების განსაზღვრების საკითხი უფრო დეტალურად იქნება განხილული შემდგომ თავებში).

გ. პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი

ზიანის პირდაპირ და არაპირდაპირ სახეებად დაყოფა პირდაპირ კავშირშია მიზეზობრივ კავშირთან. კერძოდ, პირდაპირია ზიანი, თუ ის დადგა მისი გამომწვევი აუცილებელი მიზეზის შედეგად და მის გარეშე ის არ დადგებოდა. რაც შეეხება არაპირდაპირ ზიანს ის გამოწვეულია გარკვეულ გარემოებათა გამო.³¹

ზიანის ასეთი კლასიფიკაცია აქტუალურია ექსპროპრიაციის საქმეების განხილვის დროს, როდესაც, პირს, რომელსაც ჩამოერთვა ქონება, გარდა ჩამორთმეული ქონების ღირებულებისა, ასევე, განიცდის თანმდევ, არაპირდაპირ ზიანსაც.³²

²⁶ Yamamoto, K. (2015). In Koziol, H. eds. „*Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective*“. Vienna-Graz. p. 564, line 7/221 and following. ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). „*სახელმწიფოებო სამართალი*“. თბილისი. გვ. 653.

²⁷ Lahe, J.; Kull, I. (2016). „Compensation on non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person“. *International Comparative Jurisprudence*. p. 1.

²⁸ ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)“. *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*. გვ.110.

²⁹ ოსაკვე, კ. (2015). „*ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება*“. თბილისი. გვ.2.

³⁰ ბარაბაძე, ნ. (2012). „*მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა*“. თბილისი. გვ.27.

³¹ პეკანაშვილი, ნ. (2016). *სადოქტორო ნაშრომი „სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება*“. გვ. 22.

³² ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). „*სახელმწიფოებო სამართალი*“. თბილისი. გვ. 660-661.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი. აღნიშნული არის ისეთი ზიანია, რომელიც გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, საერთოდ ვერ იქნებოდა სავარაუდო მოვალისათვის.³³

1.3 ზიანის ანაზღაურების ფუნქცია და ანაზღაურებადი ზიანის ოდენობის განსაზღვრა

ზოგადად ზიანის ანაზღაურების ფუნქციების, მიზნებისა და ანაზღაურებადი ზიანის განსაზღვრის ზოგადი პრინციპის განხილვა აუცილებელია, რათა თვალსაჩინო იყოს მოცემულ საკითხთა თავისებურებანი არაქონებრივ (მორალურ) ზიანთან მიმართებით.

ზიანის ანაზღაურების მთავარ მიზანს წარმოადგენს მიყენებული დანაკლისის გამოსწორება (გამოსწორების ფუნქცია), რომლიდანაც გამომდინარეობს ე. წ. სრულად გამოსწორების პრინციპი, რომლის მიხედვითაც დამზიანებელმა ზიანი, რომელიც მას შეერაცხება, სრულად უნდა აანაზღაუროს. ხოლო კომპენსაციის ფუნქციიდან გამომდინარეობს წესი, რომ ზიანის ანაზღაურების მოცულობა დაზარალებულისათვის რეალურად მიყენებული ზიანით უნდა შემოიფარგლოს (ე. წ. გამდიდრების აკრძალვა).³⁴

საყურადღებოა, რომ სრული კომპენსირების პრინციპი ზიანის ანაზღაურების მთავარი მიზნიდან გამომდინარეობს, კერძოდ პირვანდელი მოცემულობის აღდგენისა და დაზარალებულის ზუსტად იმ მდგომარეობაში აღმოჩენისა, რომელშიც იქნებოდა მისთვის ზიანი რომ არ მიეყენებინათ.³⁵

ზიანის ანაზღაურების მეორე და მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს პოტენციურ დამაზიანებელზე პრევენციული ზემოქმედების განხორციელების ფუნქცია (პრევენციის ფუნქცია), რათა თავიდან იქნას აცილებული პირთათვის ზიანის მიყენება.³⁶ მოცემული ფუნქციით, კანონმდებელი მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს შემთხვევები, რომელიც გამოიწვევს დაზიანებას ან დანაკარგს. კერძოდ, პოტენციური ზიანის

³³ განჩინება, #ას-802-767-2014 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 10 თებერვალი). განჩინება, #ას-250-250-2018 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2018 წლის 15 ივნისი).

³⁴ გადაწყვეტილება, ას-1322-2018 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019 წლის 4 აპრილი). განჩინება, #ას-250-250-2018 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2018 წლის 15 ივნისი). რუსიაშვილი, გ. (2017). *civilcode.ge*. სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი. მუხლი 408. ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)". *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*. გვ.110. ძლიერიშვილი, ზ. (2013). „მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე". *ადვოკატი #2*. გვ. 32.

³⁵ Fézer, T. (2013). „*Comparative Tort Law*". Debrecen. p. 7. Menyhárd, A. (2015). I In Koziol, H. eds. „*Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective*". Vienna •Graz. p. 277.

³⁶ რუსიაშვილი, გ. (2017). *civilcode.ge*. სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი. მუხლი 408, ველი 3.

მიმყენებელი იმის ცოდნითა და რაციონალურ გააზრებით, რომ მასვე მოუწევს თავისი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, სრულად, მათ შორის არაქონებრივისაც, მიდის დასკვნამდე, რომ უმჯობესია მიიღოს ზომები შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, რაც საფუძელია იმისა, რომ მან თავი შეიკავოს ასეთი ქმედებისაგან.³⁷

მნიშვნელოვანია, რომ როგორც უკვე აღინიშნა, ზიანის ანაზღაურების ფუნქციები განსხვავებული სახით გვევლინება არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების დროს, რაც განპირობებულია მორალური ზიანის არამატერიალური ხასიათით, მისი ზუსტი შეფასების შეუძლებლობითა და შესაბამისად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობით. შესაბამისად, არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს დაზარალებულის სულიერ ტანჯვა და განცდები, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი ვერ იქნება დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენა, არამედ, მორალური ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის შემცირებისა და დაზარალებულის სულიერი წონასწორობის აღდგენის, მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქების საშუალებას.³⁸ ფულადი ანაზღაურება დაზარალებულს აძლევს მეტ შესაძლებლობას დაზიანების შემდგომი ცხოვრების შემსუბუქებისა და მიღებული დაზიანების შედეგების გადატანისა.³⁹

გარდა ამისა, თავის მხრივ საკითხის კვლევისთვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ როგორ ხდება ანაზღაურებადი ზიანის განსაზღვრა. რასთან დაკავშირებითაც უკვე აღინიშნა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება არსებული სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა).⁴⁰ მოცემული სასამართლოთა მიერ არაერთხელ იქნა განმარტებული, კერძოდ, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ

³⁷ Faure, M. G. (2000). „compensation of non-pecuniary loss: an economic perspective“. In Magnus, Ulrich & Spier, Jaap (eds.), *„European tort law: liber amicorum for Helmut Koziol“*. P. Lang. p. 148. Fézer, T. (2013). *„Comparative Tort Law“*. Debrecen. p. 8.

³⁸ ბარაბაძე, ნ. (2005). „მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები“. *ადამიანი და კონსტიტუცია* #3, გვ. 68. გადაწყვეტილება, # ას-660-660-2018 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2018 წლის 20 ივლისი). ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)“. *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*. გვ.111.

³⁹ Magnus, U. (2015). „Damages for Non-Pecuniary Loss in German Contract and Tort Law“. *The Chinese Journal of Comparative Law*. p. 299.

⁴⁰ Yamamoto, K. (2015). In Koziol, H. eds. *„Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective“*. Vienna •Graz. p. 563, line 7/216. გადაწყვეტილება, №ას-459-438-2015 (საქართველოს უზენაესი სასამართლო ოქტომბერი 7, 2015). კროპპოლერი, ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი*. თბილისი. გვ.122.

მდგომარეობა რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა, სსკ-ის 411-ე მუხლი კი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. და ადგენს, რომ სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და რომელიც ვალდებულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება.⁴¹ მოცემული კი გამომდინარეობს იქიდან, რომ ზიანის ანაზღაურებამ არ უნდა გამოიწვიოს კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრება.

აუცილებელია ითქვას ისიც, რომ ერთი შეხედვით შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მარტივი განსასაზღვრია სხვაობა „არის მდგომარეობასა“ და „უნდა ყოფილიყო მდგომარეობას“ შორის, მაგრამ რეალურად საკითხი არც თუ მარტივი გადასაწყვეტია ერთი მხრივ, მაშინ, როდესაც საქმე ეხება მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრას და მეორეს მხრივ მით უფრო, მაშინ, როდესაც განსასაზღვრია არაქონებრივ (მორალური) ზიანის ოდენობა, რაც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

2. მორალური ზიანის განსაზღვრება და მისი ანაზღაურებადობა

როგორც უკვე აღინიშნა, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება არაქონებრივი (მორალური) ზიანი და მისი ანაზღაურებადობის საკითხი. პრობლემურია თავად მისი სახელდების საკითხიც და შესაბამისად, აუცილებელია მეტი თვალსაჩინოებისათვის სამეცნიერო ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ მოსაზრებათა წარმოჩენა, რამდენადაც შეუძლებელია სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებათა განსაზღვრა, იმის დადგენის გარეშე თუ ზოგადად, რას მოიცავს და რა შემთხვევაში ექვემდებარება ანაზღაურებას მორალური (არაქონებრივი) ზიანი.

2.1 არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება

მორალური ზიანის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს და შესაბამისად, სწორედ, რომ აღნიშნულით არის განპირობებული მისი სახელდების საკითხის პრობლემის არსებობა.

მორალური ზიანი შეიძლება განიშარტოს, როგორც ზიანი, რომელიც არ არის გამოწვეული ქონების შემცირებით. ეს უკანასკნელი ვერ გაიზომება ფულით და ვერ იქნება შეფასებული ეკონომიკურ კატეგორიად, შესაბამისად, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ზიანის მიყენებამდე არსებული სტატუს-ქვოს აღდგენა შეუძლებელია.⁴²

⁴¹ გადაწყვეტილება, ას-929-869-2017 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2017 წლის 27 დეკემბერი).

⁴² Markesinis, B; Coester, M; Alpa, G; Ullstein, A. (2005). „*Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law: A Comparative Outline*“. United Kingdom: Cambridge University Press. p.60.

ძირითადად მორალური ზიანი ლიტერატურაში განიმარტება, როგორც პირის მიერ განცდილი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა.⁴³ ასევე, ის განიმარტება, როგორც ფსიქო-ფიზიკური მთლიანობისთვის მიყენებული ზიანი⁴⁴ ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად კანონით დაცული სიკეთეების ხელყოფით გამოწვეული პირის სულიერი ტანჯვა.⁴⁵ მნიშვნელოვანია, რომ ემოციური მდგომარეობის დარღვევასთანაა გაიგივებული გერმანულ სამართალში არსებული "Schmerzensgeld" ანუ „ფული ტანჯვისთვის“, „ფულადი კომპენსაცია ტანჯვისთვის“ ან „გრძნობების ხელყოფისათვის“.⁴⁶

ა. „ფსიქიკური ზიანის“ და „ფსიქიკური ტანჯვის“, „ფიზიკური ზიანის“ და „ფიზიკური ტანჯვის“ ურთიერთმიმართება

ტერმინოლოგიათა სიმრავლეს ვხვდებით, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ისე სასამართლო გადაწყვეტილებებში. კერძოდ, ერთის მხრივ გვაქვს „ფსიქიკური ტანჯა“ და „ფსიქიკური ზიანი“, მეორეს მხრივ „ფიზიკური ზიანი და ფიზიკური ტანჯვა“. შესაბამისად, საინტერესოა, რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

სასამართლო გადაწყვეტილებებში ვხვდებით სხვადასხვა ტერმინოლოგიას, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ვხვდებით შემდეგ მითითებას „მორალური ზიანი სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული არასასურველი შედეგი ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს.“⁴⁷ სხვა გადაწყვეტილებაში კი ნახსენებია „ფსიქიკური სტრესი“.⁴⁸

Lahe, J; Kull, I. (2016). „Compensation on non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person“. *International Comparative Jurisprudence*, p. 1.

⁴³ დოლონაძე, ლ. (2010). „მორალური ზიანის ანაზღაურება“(სადოქტორო ნაშრომი). გვ.136.

⁴⁴ ოსაკვე, ვ. (2015). „ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება“. თბილისი. გვ.2.

⁴⁵ ბარაბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“. თბილისი. გვ.27.

⁴⁶ Magnus, U. (2003). „*The Reform of German Tort Law*“. Barcelona. p. 4. Эрделевский А. М. (2004). „Компенсация морального вреда: анализ и комментарий законодательства и судебной практики“. ст. 9. ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. *მართლსაჯულება და კანონი* #3(51), გვ. 99.

⁴⁷ გადაწყვეტილება, #ას -1477-1489-2011 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2012 წლის 3 აპრილი). პეპანაშვილი, ნ. (2016). *სადოქტორო ნაშრომი „სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება“*. გვ. 34.

⁴⁸ გადაწყვეტილება, #ას-1156-1176-2011 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2012 წ.20 იანვარი).

საყურადღებოა, რომ „ფიზიკური ტანჯვა“ და „ფიზიკური ზიანი“ არ არის იდენტური შინაარსის, რადგან ფიზიკური ტანჯვა არის მორალური ზიანის ერთი ფორმა, ხოლო ფიზიკური ზიანი არის ნებისმიერი უარყოფითი ნეგატიური ცვლილება ადამიანის სხეულში.⁴⁹

გარდა ამისა, ფსიქოლოგიური ზიანი, რომელიც ერთდროს ცნობილი იყო, როგორც „ნერვული შოკი“, დღესდღეობით ერთიანდება ტერმინში „ფსიქიკური ზიანი“. ამოსავალი კი არის ის თუ რას მოიცავს „ფსიქიკური ზიანი“. კერძოდ, ზიანი ვერ იქნება ანაზღაურებული ნებისმიერი დარდის, სევდისა თუ ნერვული შოკისთვის, რომელიც გამოწვეულია დაზიანებით ან ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით. ანაზღაურებას ექვემდებარება უფრო სერიოზული ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს სამედიცინო დახმარებას. უფრო ზუსტად კი სამედიცინო ტერმინოლოგიით, რომ ვთქვათ პოსტტრამვეული სტრესით გამოწვეული აშლილობა, რომელიც არის რეაქცია ძალადობასა თუ გარდაცვალებაზე.⁵⁰ შესაბამისად, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ფსიქიკური ზიანი“ იგივე „მორალური ზიანია“, რაც ვერ იქნება გაზიარებული შემდეგ გარემოებათა გამო - ფიზიკური ტანჯვის ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ ტკივილი, გულისწასვლა, გულისრევა და სხვა სიმპტომები, ხოლო ფსიქიკური ტანჯვის დროს ადამიანი განიცდის ემოციურ მდელვარებას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ძლიერ შიშში, სირცხვილში, მწუხარებაში და სხვა უარყოფით შეგრძნებებში. შესაბამისად, ფიზიკური ტანჯვის დროს ადამიანი იმავდროულად შეიძლება განიცდიდეს ფსიქიკურ ტანჯვასაც, რამდენადაც ავადმყოფური შეგრძნებები აისახება დაზარალებულის შეგნებაში და იწვევს სხვადასხვა ფსიქიკურ განცდებს. ტერმინი „ფსიქიკური ტანჯვა“ კი იმავდროულად არ მოიცავს ფიზიკურ ტანჯვასაც, რაც გულისხმობს, რომ „ფსიქიკურ ზიანს“ არ შეუძლია მოიცავს ტანჯვის ორივე სახე, რომლითაც ხასიათდება მორალური ზიანი.⁵¹

შესაბამისად, როგორც ქართული ისე უცხოური ლიტერატურის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ „ფსიქიკური ტანჯვა“ უფრო სწორი ტერმინია და ძირითადად ეს უკანასკნელი გამოიყენება. კერძოდ, არაქონებრივი ზიანი განსაზღვრული უნდა იქნას ტერმინებით „ფსიქიკური ტანჯვა“ და სიხარულის დაკარგვა.⁵²

⁴⁹ ბარაბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“. თბილისი. გვ.23. დოლონაძე, ლ. (2010). „არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება“. *თეუსუ* #2. გვ. 141.

⁵⁰ Markesinis, B; Coester, M; Alpa, G; Ullstein, A. (2005). „*Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law: A Comparative Outline*“. United Kingdom: Cambridge University Press. p. 51

⁵¹ ბარაბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“. თბილისი. გვ.23-24. დოლონაძე, ლ. (2010). „არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება“. *თეუსუ* #2. გვ. 141-142.

⁵² The Law Commission, Law Com No 257 (1999). *DAMAGES FOR PERSONAL INJURY: NON-PECUNIARY LOSS, Item 2 of the Sixth Programme of Law Reform: Damages*. p. 6.

შესაბამისად, ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ტანჯვის“ განსაზღვრება, კერძოდ, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს, რომ მორალური ზიანის მიმყენებლის მოქმედებამ აუცილებლად უნდა ჰპოვოს ასახვა დაზარალებულის შეგნებაში, კერძოდ, კი მის უარყოფითი ფსიქიკური რეაქციის გამოწვევაში.⁵³ მორალური ზიანი კი თავის თავში გულისხმობს ფიზიკურსა და ფსიქიკურ ტანჯვას ერთობლიობაში.

ბ. მორალის, ზნეობისა და მორალური ზიანის ცნების ურთიერთმიმართება

აღსანიშნავია, რომ მორალური ზიანი, როგორც წესი ასოცირდება მორალთან, შესაბამისად, აუცილებელია მათ შორის სხვაობის წარმოჩენა.

მორალი არის კულტურაზე, რელიგიაზე ან ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ადამიანთა ქცევის წესების სისტემა. განასხვავებენ მორალის, ეთიკისა და ზნეობის ცნებებს. მორალს ხშირად განმარტავენ როგორც “შინაგან ვალდებულებას”, რომელსაც განსაზღვრავს სინდისი.⁵⁴

მორალი ქართულ ლექსიკონებში განიმარტება, როგორც ნორმების, სანქციების, შეფასებების, დანაწესების, ქცევის ნიმუშთა სისტემა, რომელიც ასრულებს სოციალური კონტროლისა და სოციალური ურთიერთობების რეგულირების ფუნქციებს ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში, მთლიანად საზოგადოებაში.⁵⁵ ამასთან, ის არის ზნეობის სინონიმი და ამ უკანასკნელით მოცული ნორმების იდეური საფუძელი მომდინარეობს სიკეთისა და ბოროტების იდეალებიდან, სამართლიანობისა და სხვა მსგავსი კატეგორიებიდან.⁵⁶ ასევე, ანალოგიურ განმარტებებს ვხვდებით უცხოურ ლექსიკონებშიც, კერძოდ, მორალი განმარტებულია, როგორც ქცევის სტანდარტები, პრინციპები სწორისა და არასწორის შესახებ.⁵⁷

ზემოაღნიშნულს გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ „მორალის“ განმარტებიდან გამომდინარე, „მორალური ზიანი“ ასოცირდება სოციოლოგიური აზროვნების წესთან, მაშინ, როდესაც უფრო მნიშვნელოვანია პრობლემის სამართლებრივ საფარქვეშ მოქცევა. შესაბამისად, ტერმინი „მორალური ზიანის“ ნაცვლად უმჯობესია ტერმინი „არაქონებრივი ზიანის“ ხმარება.⁵⁸

⁵³ დოლონაძე, ლ. (2010). „არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება“. *თელსუ* #2. გვ. 141-142.

⁵⁴ ხუბუა, გ. (2004). „სამართლის თეორია“. თბილისი. გვ.60.

⁵⁵ *სამოქალაქო განათლების ლექსიკონი*. მოპოვებული NATIONAL PARLAMENTARY LIBRARY OF GEORGIA: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5294>-დან

⁵⁶ დოლონაძე, ლ. (2010). „არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება“. *თელსუ* #2. გვ. 142.

⁵⁷ *Moral*. Retrieved from English Oxford Living Dictionaries: <https://en.oxforddictionaries.com/definition/moral>

⁵⁸ ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. *მართლსაჯულება და კანონი* #3(51), გვ. 100.

2.2 სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი არაქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზანი

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ როგორც უკვე აღინიშნა, არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს დაზარალებულის სულიერი ტანჯვა და განცდები, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი ვერ იქნება დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენა. კერძოდ, შეუძლებელია შეფასება და ფულადი სახით განსაზღვრა იმ ტკივილისა და ტანჯვისა, რომელსაც განიცდის ადამიანი, სხეულის ფუნქციის დაკარგვით.⁵⁹ მართალია, ისევე, როგორც ქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს, ამ შემთხვევაშიც ერთი პირის ქონების შემცირების ხარჯზე მოხდება მეორის სულიერი ტანჯვისა თუ განცდის კომპენსირება, თუმცადა, შეუძლებელია, რომ ანაზღაურების მიზანი იყოს ზიანის სრული კომპენსირება.⁶⁰

ამ შემთხვევაში მიზანი არის, რომ მიღწეულ იქნას ტკივილის კომპენსირება /შემსუბუქება.⁶¹

ასეთივე პოზიციაა გაზიარებული ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, კერძოდ, გადაწყვეტილებებში განმარტებულია, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიზნად არ ისახავს მიყენებული ზიანის სრულ რესტიტუციას, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია.⁶² შესაბამისად ამ შემთხვევაში სახეზეა არა კომპენსირება, არამედ სულიერი ტანჯვის შემსუბუქება და დაზარალებულის სულიერი წონასწორობის აღდგენა.⁶³

მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნებზე არსებითად მსგავსი მიდგომაა ევროპის ქვეყნებში. ამ შემთხვევაშიც მიჩნეულია, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიზნად ისახავს დაზარალებული პირის მიერ მიღებული სულიერი ტანჯვის კომპენსირებას. კერძოდ, კი მართალია იმ დანაკლისის ანაზღაურება, რომელიც მას მიაღდა

⁵⁹ Halson, R. (2015). „The Recovery of Damages for Non-Pecuniary Loss in the United Kingdom: A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort”. *The Chinese Journal of Comparative Law*. p. 253.

⁶⁰ ბარაბაძე, ნ. (2005). „მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები”. *ადამიანი და კონსტიტუცია* #3, გვ. 68. ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)”. *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*. გვ.111.

⁶¹ Markesinis, B; Coester, M; Alpa, G; Ullstein, A. (2005). „*Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law: A Comparative Outline*”. United Kingdom: Cambridge University Press. p. 46

⁶² განჩინება, №ას-892-850-2013 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 1 აპრილი). განჩინება, №ას-594-562-2015 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 6 ნოემბერი).

⁶³ გადაწყვეტილება, №ას-979-940-2014 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 10 სექტემბერი).

შეუძლებელია, თუმცა მას ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს სიამოვნება რაიმე სხვა ფორმით, რაც მას დაავიწყებს მიყენებულ ტრამვას.⁶⁴

მორალური ზიანის ანაზღაურების ზემოაღნიშნული ძირითადი მიზანი, დაზარალებულის სულიერი ტკივილის დადებითი ემოციით შეცვლა, წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების სამი ძირითადი ფუნქციის კომბინაციას.⁶⁵ კერძოდ:

სატისფაქციური ფუნქცია - დააკმაყოფილოს დაზარალებული;

რეპრესიული ფუნქცია - ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე;

პრევენციული ფუნქცია - თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა.⁶⁶

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა და იმისა, რომ არაქონებრივი (მორალური) ზიანს არ აქვს მატერიალური გამოხატულება, რის გამოც შეუძლებელია მისი სრული კომპენსირება, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ფულად ანაზღაურებასა და არაქონებრივი ზიანს შორის მეტი კავშირია ვიდრე ერთიშეხედვით ჩანს. კერძოდ, დაზარალებულს არჩევანი, რომ ქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვის აცილებისა ცხადია თავიდან აიცილებდა და უფრო მეტიც თავად გადაიხდიდა ამისთვის, მაგრამ თუ ზიანი უკვე სახეზეა, ფულადი ანაზღაურება ერთის მხრივ დაზარალებულს უჩენს შეგრძნებას, რომ ზიანის მიმყენებელმა პასუხი აგო მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, მეორეს მხრივ პოტენციურ ზიანის მიმყენებელს, იმის ცოდნა, რომ მოუწევს ზიანის ანაზღაურება, აიძულებს გამოიჩინოს მეტი ყურადღება იმისათვის, რომ ასეთი შემთხვევა არ დადგეს.⁶⁷

2.3 მორალური ზიანის ანაზღაურებადობა

იმის გათვალისწინებით, რომ ზიანი არის სამართლებრივი და არა ბუნებრივი კატეგორია,⁶⁸ რაც გულისხმობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ

⁶⁴ Carval, S. G. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p.94. Magnus, U. (2015). „*Damages for Non-Pecuniary Loss in German Contract and Tort Law*“. *The Chinese Journal of Comparative Law*. p. 299.

⁶⁵ ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)“. *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*. გვ.111.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ Sugarman, S. D. ((forthcoming 2013)). „Tort Damages for Non-economic Losses (in cases of physical injury to the person) “. In Bussani, M. and Sebok, A. eds., *A Chapter from Comparative Tort Law*. Edward Elgar. p. 203-205 .

⁶⁸ Menyhárd, A. (2015). In Koziol, H. eds. „*Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective*“. Vienna ·Graz. p. 287.

ანაზღაურებადი, სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი,⁶⁹ არაქონებრივი ზიანის შემთხვევაშიც, ნებისმიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, რომელიც განიცადა პირმა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, რაც გულისხმობს, რომ მორალური ზიანი შეიძლება რეალურად დადგეს, თუმცა არ ანაზღაურდეს თუ მისი ანაზღაურება კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.⁷⁰

კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოცემული დანაწესი გულისხმობს, რომ ქონებრივი ზიანისაგან განსხვავებით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ შეიძლება დაკმაყოფილდეს თუ კანონი პირდაპირ არ უთითებს მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე.⁷¹ ამასთან, კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში არ იგულისხმება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი შემთხვევები, არამედ, მხედველობაშია ასევე კერძო თუ საჯარო სამართლებრივი ხასიათის სხვა ნორმატიული აქტები, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო-სამართლებრივი საკანონმდებლო აქტები.⁷² მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლის მიზანია შეზღუდოს ნორმის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.⁷³

შესაბამისად, სწორედ ერთ-ერთი ასეთი კანონით გათვალისწინებული შემთხვევაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც „სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი

⁶⁹ გადაწყვეტილება, ას-1322-2018 (საქართველოს უზენაესი სასამართლო აპრილი 4, 2019). ჭანტურია, ლ., ზოიძე, ბ., ნინიძე, თ., შენგელია, რ., ხეცურიანი, ჯ.. (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. თბილისი. გვ 366.*

⁷⁰ Magnus, U. (2003). „*The Reform of German Tort Law*“. Barcelona. p. 4. ცისკაძე, მ. (2008). „სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. *მართლსაჯულება და კანონი #2(17)*. გვ. 17.

⁷¹ ცისკაძე, მ. (2008). „სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. *მართლსაჯულება და კანონი #2(17)*, გვ. 17.

⁷² ჭანტურია, ლ., ზოიძე, ბ., ნინიძე, თ., შენგელია, რ., ხეცურიანი, ჯ.. (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. თბილისი. გვ.470.* ცისკაძე, მ. (2008). „სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. *მართლსაჯულება და კანონი #2(17)*. გვ. 17.

⁷³ ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. *მართლსაჯულება და კანონი #3(51)*, გვ. 104. გადაწყვეტილება, #ას-1156-1176-2011 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2012 წლის 20 იანვარი).

ზიანისთვისაც“. რაც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში თუ სახეზე გვაქვს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობი პირობები, რომელსაც შედეგად მოყვა პირის სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება, ამ უკანასკნელს უფლება ექნება მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც. თუმცაღა სხეულისა და ჯანმრთელობის ნებისმიერი დაზიანება ნებისმიერ შემთხვევაში არ წარმოშობს არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის უფლებას. კერძოდ, აუცილებელია კუმულაციურად არსებობდეს ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რომელმაც იმავდროულად გამოიწვია ფსიქიკური ტანჯვა.⁷⁴ ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ნორმის მოქმედების სფეროში ექცევა როგორც არასახელშეკრულებო დელიქტური ურთიერთობები, ისე სახელშეკრულებო ურთიერთობებიც.⁷⁵

საყურადღებოა, რომ ანალოგიური მიდგომაა გერმანულ სამართალშიც, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს გერმანული კოდექსის რეცეფციის შედეგს. კერძოდ, გერმანული სამართლის მიხედვითაც შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში. ამასთანავე, პასუხისმგებლობა ზიანის მიმყენებელს შეიძლება დაეკისროს ბრალეულობის, გამკაცრებული პასუხისმგებლობის ან სახელშეკრულებო საფუძვლით, რაც წარმოადგენს 2002 წელს შესული ცვლილებების შედეგს.⁷⁶ კერძოდ, აღნიშნულ ცვლილებებამდე სხეულის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლებოდა მხოლოდ დელიქტური საფუძვლით, ცვლილების შემდგომ კი მოთხოვნის საფუძვლად იქცა სახელშეკრულებო ურთიერთობებიც.⁷⁷ ასევე, ცვლილებებამდე მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის სახეზე უნდა ყოფილიყო განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შემთხვევა, ხოლო ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებს არამატერიალურ ზიანის მოთხოვნა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იყო შესაძლებელი.⁷⁸

რაც შეეხება არა სხეულის დაზიანებას, არამედ ფსიქიკურ ზიანს, ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისთვის სახეზე უნდა იყოს სამედიცინო ხასიათის

⁷⁴ ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. *მართლსაჯულება და კანონი* #3(51), გვ. 104.

⁷⁵ Magnus, U.& Fedike, J. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p. 110, line 2. ჭანტურია, ლ., ზოიძე, ბ., ნინიძე, თ., შენგელია, რ., ხეცურიანი, ჯ.. (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. თბილისი*. გვ. 471-472.

⁷⁶ Magnus, U. (2003). „*The Reform of German Tort Law*“. Barcelona. p. 5.

⁷⁷ Magnus, U. (2015). „Damages for Non-Pecuniary Loss in German Contract and Tort Law“. *The Chinese Journal of Comparative Law*. p. 303.

⁷⁸ Magnus, U., & Fedike, J.. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p.110, line 2.

სულიერი ავადმყოფობა, რომელიც გამოიწვია მისთვის მიყენებულმა ზიანმა, თუმცა ის არ უნდა იყოს ამკარად დაუსაბუთებელი რეაქცია შემთხვევაზე.⁷⁹

არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებადობის საინტერესო და სრულიად განსხვავებული მიდგომაა ჩამოყალიბებული საფრანგეთში. კერძოდ, თუკი საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს არაქონებრივ ზიანს, როგორც ზიანის ერთ-ერთ სახეს, საფრანგეთის კანონმდებლობაში არამატერიალური ზიანი არაა გამოყოფილი ზიანის დამოუკიდებელ სახედ და შესაბამისად, მისი ანაზღაურების რაიმე შეზღუდვა არ არის გათვალისწინებული თუ ის წარმოადგენს დელიქტის უშუალო და პირდაპირ შედეგს.⁸⁰ არაქონებრივი ზიანის მიყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლები ფაქტობრივად ემთხვევა ზიანის დროს პასუხისმგებლობის ზოგად წინაპირობებს,⁸¹ ამასთანავე, მოთხოვნა შესაძლებელია როგორც დელიქტური ისე სახელშეკრულებო საფუძვლით.⁸²

გარდა ამისა, სხეულისა და ჯანმრთელობითვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, არაქონებრივი ზიანი მოიცავს ელემენტის ერთობლიობას, რომელთა შეფასებაც ხდება. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს სახეზეა პერმანენტული დაზიანება თუ დროებითი დაზიანება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი კატეგორიზაცია არ არის მკვეთრად გამოხატული.⁸³

დროებითი დაზიანება მოიცავს ზიანს, რომელიც მკურნალობის ან გარკვეული დროის შემდეგ სრულიად ექვემდებარება გამოსწორებას, რაც გულისხმობს, რომ დაზიანება არ არის პერმანენტული და შესაბამისად, დაზარალებულს ანაზღაურება მიეცემა მკურნალობისას ან უშუალოდ ზიანის მიყენების მომენტში განცდილი ტკივილისთვის, რომელიც ფასდება სამედიცინო ექსპერტთა მიერ, ტკივილისა და მისი ხანგრძლივობის გათვალისწინებით შვიდბალიანი სკალით. ამასთანავე, ექსპერტები შეფასებას ახდენენ

⁷⁹ Magnus, U., & Fedike, J. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p.110, line 3.

⁸⁰ Cannarsa, M. (2002). „*Compensation for Personal Injury in France*“. p.16

Retrieved from <http://www.jus.unitn.it/cardozo/Review/2002/Cannarsa.pdf>

ცისკაძე, მ. (2008). „სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. *მართლსაჯულება და კანონი* #2(17). გვ. 16.

⁸¹ ბიჭია, მ. (2017). „გრიგოლ რცხილაძის სტატიის – „მორალური ზიანის ანაზღაურება“ – ანალიზი“. *სამართალი და მსოფლიო* #8, გვ. 81.

⁸² Moréteau, O. (2015). In Koziol, H. eds. „*Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective*“. Vienna ·Graz. p. 34, line 1/87.

⁸³ Cannarsa, M. (2002). „*Compensation for Personal Injury in France*“. p.17

Retrieved from <http://www.jus.unitn.it/cardozo/Review/2002/Cannarsa.pdf>;

Galand-Carval, S. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p. 89, line 8.

არა რაიმე კონკრეტული დოკუმენტისა თუ აქტის საფუძველზე, არამედ იმ მითითებების გათვალისწინებით, რომელსაც სასამართლო აძლევს.⁸⁴

საინტერესოა, რომ დროებითი დაზიანების შემთხვევა, ასევე, განიხილება, როგორც პირის ყოველდღიური ცხოვრებიდან ამოვარდნა. ამ უკანასკნელი საფუძველით ზიანის ანაზღაურება ძირითად შემთხვევაში ხდება პირებისთვის, რომელთაც ფინანსური ზარალი დროებითი შრომისუუნარობის გამო არ ადგებათ, მაგალითად ბავშვი ან პენსიონერი, მაგრამ არა ზრდასრული ადამიანი, რომელსაც შეუძლია დაკარგული შემოსავლის, როგორც ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ისე მოითხოვოს.⁸⁵

რაც შეეხება პერმანენტულ დაზიანებებს, ამ შემთხვევაში, პირი იღებს ისეთი ტიპის ტრამვას, რომელიც სრულ განკურნებას არ ექვემდებარება და გავლენას ახდენს პირის ცხოვრებაზე სიცოცხლის ბოლომდე.⁸⁶ პერმანენტულ დაზიანებად განიხილება, ასევე, პირისთვის ფიზიკურად აღქმადი დაზიანების მიყენება (მაგ. შრამი). აღნიშნული კატეგორია გულისხმობს ზიანის ანაზღაურებას „დამახინჯებისთვის“, რომლის შეფასების დროსაც მხედველობაში მიიღება დაზარალებულის პროფესია, ასევე, დაქორწინებულია ის თუ არა და სხვა მსგავსი გარემოებანი. აღნიშნულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება გულისხმობს პირისთვის ზიანის ანაზღაურებას მისი სოციალური ურთიერთობისთვის ზიანის მიყენების გამო.⁸⁷

გამომდინარე აქედან, უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი შესაძლებელია შეიცავდეს ან არც შეიცავდეს არაქონებრივი ზიანის დამოუკიდებელ სახეს, მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ადამიანები გარკვეულ შემთხვევებში ნამდვილად განიცდიან სულიერ ტანჯვასაც, სხვადასხვა საფუძველით ის მაინც ექვემდებარება ანაზღაურებას.

⁸⁴ Cannarsa, M. (2002). „*Compensation for Personal Injury in France*“. p.20

Retrieved from <http://www.jus.unitn.it/cardozo/Review/2002/Cannarsa.pdf>;

Galand-Carval, S. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p. 89, line 9.

⁸⁵ Galand-Carval, S. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p. 89, line 10-11.

⁸⁶ Galand-Carval, S. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p. 89, line 12-15.

⁸⁷ Cannarsa, M. (2002). „*Compensation for Personal Injury in France*“. p.17

Retrieved from <http://www.jus.unitn.it/cardozo/Review/2002/Cannarsa.pdf>;

Galand-Carval, S. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p. 90, line 16.

3. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

სხეულისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება იურიდიული ფაქტია, რომელიც წარმოშობს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს, მათ შორის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას,⁸⁸ თუმცადა, როგორც უკვე აღინიშნა, ჯანმრთელობის ყველა შელახვა თავისთავად არ წარმოშობს არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის უფლებას,⁸⁹ შესაბამისად, აუცილებელია განისაზღვროს აღნიშნული ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი წინაპირობები.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საფუძველი არის იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოშობს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების ვალდებულებას, ხოლო პირობა არის ის ნიშნები, რომლებიც ახასიათებს საფუძველს და რომელთა გარეშეც მოვლენას არ შეუძლია წარმოშობა.⁹⁰ შესაბამისად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება გულისხმობს კანონით გათვალისწინებული პირობების ან მორალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების არსებობისას.

სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებით გამოწვეული ტანჯვისთვის ფულადი კომპენსაციის დროს გამოიყენება პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლები, კერძოდ, ზიანი, მართლწინააღმდეგობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ბრალი.⁹¹

3.1. მორალური ზიანის არსებობა

მოცემული წინაპირობა გულისხმობს, ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურსა და სულიერ ტანჯვაში.⁹² კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა ზიანი შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს, თუმცადა, სსკ-ს 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით მორალური ზიანის ანაზღაურებისას, აუცილებელია ზიანის სახით არსებობდეს ფსიქიკური ტანჯვა,

⁸⁸ ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. *მართლსაჯულება და კანონი* #3(51), გვ. 104.

⁸⁹ ბიჭია, მ. (2017). „გრიგოლ რცხილამის სტატიის – „მორალური ზიანის ანაზღაურება“ – ანალიზი“. *სამართალი და მსოფლიო* #8, გვ. 79.

⁹⁰ ბარაბაძე, ნ. (2005). „მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები“. *ადამიანი და კონსტიტუცია* #3, გვ. 68.

⁹¹ ბიჭია, მ. (2017). „პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან“. *თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი* #1, გვ.16.

⁹² ბარაბაძე, ნ. (2005). „მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები“. *ადამიანი და კონსტიტუცია* #3, გვ. 68. ჩიკვაშვილი, შ. (2003). „პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის“. თბილისი. გვ. 81.

რომელიც გამოწვეულია ჯანმრთელობისათვის მიყენებული ვნებით, ანუ ადამიანზე ისეთი ზემოქმედებით, რომელიც ხელყოფს მის მის სხეულს ან ორგანიზმში მიმდინარე შინაგან პროცესებს. შესაბამისად, მორალური ზიანი არ უნდა ანაზღაურდეს, თუ ქონებრივი ზიანის გამო წარმოშობილ სულიერ ტანჯვას მოჰყვება მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (მოშლა).⁹³

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, მორალური ზიანის განცდა არსებითადაა დამოკიდებული პირის ფსიქიკის თავისებურებებზე, რაც გულისხმობს, რომ სუბიექტურ ხასიათს ატარებს, თუმცაღა მიუხედავად ამისა, მცირედი ზიანი/დისკომფორტი (მაგ. ტრანსპორტში ფეხის დაბიჯება), რომელმაც კონკრეტული პირის ფსიქიკის თავისებურებების გათვალისწინებით მორალური ტანჯვა გამოიწვია ანაზღაურებას არ ექვემდებარება.⁹⁴ სულიერი ტანჯვა არ უნდა იყოს აშკარად დაუსაბუთებელი რეაქცია შემთხვევაზე.⁹⁵

გარდა ამისა, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს და მისი თანმდევი შედეგი იყოს, თუმცა, ამ შემთხვევაში აუცილებელია დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.⁹⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობისათვის მთავარია, რომ სხეულისა ან ჯანმრთელობის დაზიანება იყოს შედეგი მიყენებული ზიანისა, და მას მოჰყვეს სულიერი ტანჯვა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც განიმარტა შემდეგი „ამასთან, სსკ-ის 413-ე II მუხლით `არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული

⁹³ ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. *მართლსაჯულება და კანონი* #3(51), გვ. 104-105. ბიჭია, მ. (2017). „გრიგოლ რცხილამის სტატიის – „მორალური ზიანის ანაზღაურება“ – ანალიზი“. *სამართალი და მსოფლიო* #8, გვ. 79. გადაწყვეტილება, #ას-1156-1176-2011 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2012 წლის 20 იანვარი).

⁹⁴ ბარაბაძე, ნ. (2005). „მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები“. *ადამიანი და კონსტიტუცია* #3, გვ. 69.

⁹⁵ Magnus, U., & Fedike, J. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p. 110, line 3.

⁹⁶ გადაწყვეტილება, №ას-979-940-2014 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 10 სექტემბერი). განჩნება, №ას-594-562-2015 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 6 ნოემბერი). განჩნება, №ას-1260-1182-2015 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წლის 9 მარტი).

სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო, და არა - ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე.⁹⁷

საყურადღებოა ისიც, რომ არაქონებრივი ზიანის არსებობასთან, როგორც ჯანმრთელობისა თუ სხეულისათვის მიყენებული ვნებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ წინაპირობასთან, დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ზიანის, როგორც ფაქტის ისე მისი ოდენობის, მტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულს,⁹⁸ თუმცადა იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უნდა მოქმედებდეს პრინციპი „მორალური ზიანის პრეზუმფციის შესახებ“.⁹⁹

მოცემული პრეზუმფცია გულისხმობს, რომ „ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის მიმართაც ჩადენილია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიიჩნეოდეს დაზარალებულად, თუ ქმედების ჩამდენი ვერ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს.“¹⁰⁰ ანუ ივარაუდებოდეს, რომ პირს მიადგა მორალური ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზიანის მიმყენებელი დაამტკიცებს, დაზარალებულის უუნარობას გააცნობიეროს თავისი უფლების დარღვევა და შესაბამისად, სამართალდარღვევის შედეგების არარსებობას ფიზიკური და სულიერი ტანჯვის სახით.¹⁰¹

აღნიშნული პრეზუმფცია, უნდა უკავშირდებოდეს პასუხისმგებლობის განაწილების პრინციპს, რომლის მიხედვითაც სამართალდამრღვევმა უნდა ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და მანვე აგოს პასუხი, ნაცვლად დაზარალებულისა, რომელმაც კანონის დარღვევით განიცადა ზიანი.¹⁰²

თუმცადა, ზემოხსენებულის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შემთხვევაში, გაცილებით

⁹⁷ გადაწყვეტილება, #ას-1156-1176-2011 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2012 წლის 20 იანვარი). პეპანაშვილი, ნ. (2016). *სადოქტორო ნაშრომი „სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება“*. გვ. 42.

⁹⁸ ძლიერიშვილი, ზ. (2013). „მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე“. *ადვოკატი* #2. გვ. 32.

⁹⁹ ბარაბაძე, ნ. (2012). *„მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“*. თბილისი. გვ.67. ჩიკვაშვილი, შ. (2003). *„პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის“*. თბილისი. გვ. 82.

¹⁰⁰ ჩიკვაშვილი, შ. (2003). *„პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის“*. თბილისი. გვ. 82.

¹⁰¹ ბარაბაძე, ნ. (2005). *„მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები“*. *ადამიანი და კონსტიტუცია* #3, გვ. 70; ბარაბაძე, ნ. (2012). *„მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“*. თბილისი. გვ.67.

¹⁰² ჩიკვაშვილი, შ. (2003). *„პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის“*. თბილისი. გვ. 82.

რთული იქნება აღნიშნული პრეზუმფციის საწინააღმდეგოს მტკიცება და უფრო მეტიც, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, შეუძლებელიც.

მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში სასამართლოები ფაქტიურად იყენებენ ამ პრეზუმფციას, კერძოდ, არამართლზომიერი ქმედების ფაქტის დადგენით იმავდროულად ვარაუდობენ, ამავე ქმედებით მიყენებულ მორალურ ზიანსაც და შემდგომ აფასებენ მისი ფულადი სახით კომპენსაციის საკითხს.¹⁰³ რაც არც თუ უსაფუძლოა, კერძოდ, მოსარჩელის მითითება ფიზიკურსა ან მორალური ტანჯვაზე მიჩნეულ უნდა იქნას მორალური ზიანის მიყენების ფაქტის პირდაპირ მტკიცებულებად, რომლის შეფასებაც სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს.¹⁰⁴

3.2 არაქონებრივი უფლებების ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედება

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომისათვის აუცილებელია, რომ ქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო ხასიათისა, რაც გულისხმობს, რომ ის არ უნდა შეესაბამებოდეს პოზიტიურ (დაწერილი) სამართლის ნორმებს, ანუ არღვევდეს მათ.¹⁰⁵

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ არსებობს ორი მიდგომა, ერთი, რომლის მიხედვითაც მართლწინააღმდეგობა იმთავითვე სახეზეა, როდესაც პირი აზიანებს სხვის აბსოლიტურ სიკეთეს, დამატებითი შეფასებების გარეშე, თავად შედეგიდან გამომდინარე,¹⁰⁶ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის გამორიცხულია, მაგალითად, თუ პირი მოქმედებს უკიდურესი აუცილებელი მოგერიების ფარგლებში (შედეგის მართლსაწინააღმდეგობა)¹⁰⁷. მოცემული მიდგომა აიხსნება პირის განსაკუთრებული ინტერესის დაცვითა და მათი დარღვევის პრევენციით, მიიჩნევა, რომ ამ ტიპის სიკეთეთა დარღვევა თავისთავად უკვე მართლსაწინააღმდეგოა დამატებითი შემოწმების გარეშე.¹⁰⁸

¹⁰³ ჩიკვაშვილი, შ. (2003). „პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის“. თბილისი. გვ. 83.

¹⁰⁴ იქვე;

¹⁰⁵ Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „The German Law of Torts: A Comparative Treatise“. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 79. ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. *მართლსაჯულება და კანონი #3(51)*, გვ. 101. ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). „სახელშეკრულებო სამართალი“. თბილისი. გვ. 684.

¹⁰⁶ Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „The German Law of Torts: A Comparative Treatise“. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 79. რუსიაშვილი, გ., ეგანატაშვილი, დ. (2016). „კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში“. თბილისი. გვ. 206.

¹⁰⁷ ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. *მართლსაჯულება და კანონი #3(51)*, გვ. 101. რუსიაშვილი, გ., ეგანატაშვილი, დ. (2016). „კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში“. თბილისი. გვ. 206.

¹⁰⁸ Moréteau, O. (2015). In Koziol, H. eds. „Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective“. Vienna ·Graz. p. 70, line 1/165. კროპკოლერი, ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი*. თბილისი. გვ.639.

და მეორე მიდგომა, როდესაც მართლწინააღმდეგობის განსაზღვრა ხდება არა შედეგით არამედ უშუალოდ ქმედებით და მართლწინააღმდეგობა სახეზეა თუ ქმედება ეწინააღმდეგება დაშვებულ ქცევის წესს, აკრძალვას, ან წინდახედულობის იმ ზომას, რაც კონკრეტულ შემთხვევაშია გამოსაყენებელი.¹⁰⁹ მოცემულ შემთხვევაში ქცევა შესაძლოა არ არღვევდეს სამართლით დადგენილ კონკრეტულ იმპერატიულ ნორმას, თუმცაღა მართლწინააღმდეგობა სახეზე იყოს ზოგადი წინდახედულობის ნორმათა დაღვევის გამო, რა დროსაც ფასდება ის თუ როგორ უნდა მოქცეულიყო პირი კონკრეტულ სიტუაციაში.¹¹⁰

მოცემულ ორ მიდგომას შორის თეორიულად არსებითი სხვაობაა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, „შედეგის მართლწინააღმდეგობისას“, პასუხისმგებლობის დაკისრების ეს ორი ელემენტი - ბრალი და მართლწინააღმდეგობა - განიხილება ორ დამოუკიდებელ ელემენტად და ბრალეულობის შემოწმება ხდება მხოლოდ მართლწინააღმდეგო შედეგის არსებობის შემთხვევაში, ხოლო „ქმედების მართლწინააღმდეგობისას“ წინდახედულების/ზრუნვის ზოგადი ვალდებულების დაღვევა იმთავითვე მართლწინააღმდეგოდ მიიჩნევა და შესაბამისად, ბრალეულობის შეფასება ხდება ამ ეტაპზე.¹¹¹ თუმცაღა, მიუხედავად თეორიული სხვაობისა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად ამ ორ თეორიას ერთსა და იმავე შედეგამდე მივყავართ და რთული წარმოსადგენია შემთხვევა, რომელიც განსხვავებულად გადაწყდება. განსხვავება მხოლოდ ერთია - ერთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მართლწინააღმდეგობის ეტაპზე გამოირიცხება, ხოლო მეორე შემთხვევაში ბრალისა.¹¹²

მნიშვნელოვანია, რომ ქართული კანონმდებლობის მიხედვით მართლწინააღმდეგობა სახეზეა თუ ქმედება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს, როგორც ქმედებაში (ცნობიერების გაკონტროლებისა და საკუთარი სურვილის მართვას დაქვემდებარებული ქმედება, თუმცა იურიდიული გაგებით მოცემულში მოიაზრება უმოქმედობაც) ისე უმოქმედობაში, კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საწინააღმდეგოა (მაგ. სხვისი ქონების დაზიანება) ან ის არღვევს საგანგებოდ დაცულ სიკეთეებს (მაგ. სიცოცხლე,

¹⁰⁹ Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „The German Law of Torts: A Comparative Treatise”. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 81. რუსიაშვილი, გ., ეგანატაშვილი, დ. (2016). „კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში”. თბილისი. გვ. 206.

¹¹⁰ Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „The German Law of Torts: A Comparative Treatise”. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 81.

¹¹¹ Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „The German Law of Torts: A Comparative Treatise”. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 81.

¹¹² Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „The German Law of Torts: A Comparative Treatise”. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 81.

ჯანმრთელობა).¹¹³ მოცემული კი გულისხმობს, რომ თუ პირის მიერ ხელყოფილია აბსოლიტური სამართლებრივი სიკეთე მართლწინააღმდეგობა ყოველთვის სახეზეა (შედეგის მართლწინააღმდეგობა), ხოლო არააბსოლიტური სიკეთეების შემთხვევაში შეფასება უნდა მოხდეს ყოველცალკეულ შემთხვევაში. (ქმედების მართლწინააღმდეგობა).¹¹⁴

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ 413-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხდება, აბსოლიტური სიკეთის დაზიანების, კერძოდ, ჯანმრთელობისა ან/და სხეულისათვის ვნების მიყენების საფუძველით, მართლწინააღმდეგობა იმთავითვე სახეზეა (შედეგის მართლწინააღმდეგობა).

3.3 მიზეზობრივი კავშირი

ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ პირს შეერაცხოს ქმედება და შესაბამისად, დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი, მის ქმედებასა (უმოქმედობას) და სიკეთის ხელყოფას შორის უნდა არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ანუ უნდა დადგინდეს ზიანი წარმოადგენს თუ არა სამართალდამრღვევის ქმედების უშუალო შედეგს.¹¹⁵

მიზეზობრივი-კავშირის ზოგადი არსის განსაზღვრისათვის პირველ რიგში არსებითია აღინიშნოს, რომ თავად მიზეზი ჯაჭვის რგოლია, რომელიც ასევე სხვა წინაპირობებით, მიზეზებითაა განპირობებული და თავადაც წარმოადგენს მიზეზსა და საფუძველს სხვა მიზეზებისა ან/და ქმედებებისათვის.¹¹⁶ შესაბამისად, მიზეზობრივი კავშირი მოვლენებს შორის იმგვარი კავშირია, როცა ერთი მოვლენა (მიზეზი) წინ უძღვის მეორეს (შედეგს) და წარმოშობს მას, ანუ ესაა კავშირი არასწორ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.¹¹⁷

¹¹³ ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)". *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*. გვ.112. ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი". *მართლსაჯულება და კანონი #3(51)*, გვ. 101

¹¹⁴ რუსიაშვილი, გ., ეგანატაშვილი, დ. (2016). „კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში". თბილისი. გვ. 206.

¹¹⁵ კვანტალიანი, ნ. (2012). „მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის". *მართლსაჯულება და კანონი #2(33)*. გვ.6. კროპკოლერი, ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი*. თბილისი. გვ.636. რუსიაშვილი, გ., ეგანატაშვილი, დ. (2016). „კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში". თბილისი. გვ. 203.

¹¹⁶ ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). „სახელმწიფო სამართალი". თბილისი. გვ. 687.

¹¹⁷ Fézer, T. (2013). „Comparative Tort Law". Debrecen. p. 22. ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). „სახელმწიფო სამართალი".

თუმცა აუცილებელია იმ მიზეზთა გამოკვეთა, რომელთაც სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს.

მოცემულის შეფასებისათვის გამოიყენება ექვივალენტურობის თეორია, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ქმედებით და მოცემული უნდა იყოს ზიანის დადგომის აუცილებელი პირობა ანუ ქმედების გარეშე გამორიცხული უნდა იყოს სიკეთის ხელყოფა,¹¹⁸ ხოლო თუ ზიანი დადგებოდა ამ ქმედების გარეშე, მაშინ მიზეზობრივი კავშირი სახეზე არ არის, რადგან ქმედებას არ გამოუწვევია ზიანი.¹¹⁹ ამ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი მოიცავს მოვლენათა ერთობლიობას, მათ შორის პირის მოქმედებასა თუ უმოქმედობას ისევე, როგორც გარეშე პირობებს (უმნიშვნელო მოვლენები მხედველობაში არ მიიღება).¹²⁰

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული თეორიის მიხედვით პირს შეიძლება შეერაცხოს ყველაზე უფრო შორეული მიზეზიც კი და მას კაუზალობის დაუსრულებელ ჯაჭვამდე მივყავართ, აუცილებელია მისი შეზღუდვა ადეკვატურობის თეორიით, ისე, რომ მიზეზობრივ კავშირში ქმედებასთან იყოს მხოლოდ რეალური და განჭვრეტადი ზიანი.¹²¹ კერძოდ, მიზეზობრივი კავშირი შეიძლება არსებობდეს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მოვლენებს შორის, რომლის გადაწყვეტისასაც შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული დროის ფაქტორი, ზიანის გამოწვევის შესაძლებლობა და ალბათობა.¹²² შესაბამისად, ქმედება მხოლოდ მაშინ არის ზიანის გამომწვევი მიზეზი, როდესაც ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან, მას აქვს რეალური

თბილისი. 687. ქოჩაშვილი, ქ. (2009). „ბრალი როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა“. *სამართლის ჟურნალი* #1. გვ. 83.

¹¹⁸ Oertel, T. K. (2008). In Schulze, R. & Koziol, H. eds. „*Tort Law of the European Community*“. Springer-Verlag/Wien. p. 465, line 18/66. კროპკოლერი, ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი*. თბილისი. გვ.636. რუსიაშვილი, გ., ეგანატაშვილი, დ. (2016). „*კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში*“. თბილისი. გვ. 203.

¹¹⁹ Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „*The German Law of Torts: A Comparative Treatise*“. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 103.

¹²⁰ Moréteau, O. (2015). In Koziol, H. eds. „*Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective*“. Vienna ·Graz. p. 47, line 1/113.

¹²¹ კროპკოლერი, ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი*. თბილისი. გვ.636-637. რუსიაშვილი, გ., ეგანატაშვილი, დ. (2016). „*კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში*“. თბილისი. გვ. 204. ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)“. *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*. გვ.114.

¹²² Moréteau, O. (2015). Koziol, H. eds. „*Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective*“. Vienna ·Graz. p. 47, line 1/113.

შესაძლებლობა გამოიწვიოს ეს უკანასკნელი ან არსებითად აამაღლოს მისი დადგომის რისკი.¹²³

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და სსკ-ს 412-ე მუხლის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, უნდა დავასკვნათ, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, განჭვრეტადი და პირდაპირი შედეგია.¹²⁴ შესაბამისად, სსკ-ს 413-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, სხეულისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ვნებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისასაც, მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა იყოს ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის სახით ნეგატიური შედეგის დადგმის აუცილებელი პირობა. არამართლზომიერი ქმედება უნდა იყოს აუცილებელი მიზეზი, რომელიც გარდაუვლად იწვევს მორალური ზიანის მიყენებას.¹²⁵

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული წინაპირობის არსებობის მტკიცება სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანისას არც თუ ისე მარტივია, მაგალითად, რთულია მტკიცება, რომ დაავადება, რომელიც წარმოეშვა დაზარალებულს და მასთან დაკავშირებული ფიზიკური თუ ფსიქიკური ტანჯვა უშუალოდ გამოწვეულია ამა თუ იმ სამართალდარღვევით.

3.4 ბრალი

ზიანის მიმყენებლის ბრალი არის მისი ფსიქიკური დამოკიდებულება თავის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მისი შედეგებისადმი, რომელიც ობიექტური შეფასების საგანია.¹²⁶

საყურადღებოა, რომ სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ძირითად ფორმას, კერძოდ, ის შეიძლება გამოიხატოს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის

¹²³ Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „The German Law of Torts: A Comparative Treatise”. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 107.

¹²⁴ კვანტალიანი, ნ. (2012). „მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის”. *მართლსაჯულება და კანონი #2(33)*. გვ.6. ქოჩაშვილი, ქ. (2009). „ბრალი როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა”. *სამართლის ჟურნალი #1*. გვ. 83.

¹²⁵ ბარაბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა”. თბილისი. გვ.72.

¹²⁶ ბარაბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა”. თბილისი. გვ.72. ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). „სახელმწიფო სამართალი”. თბილისი. გვ. 678.

ფორმით.¹²⁷ ამასთანავე, განზრახვა არის უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნა და სურვილი. შესაბამისად, განზრახ მოქმედებს ის ვინც აცნობიერებს მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას, აღნიშნულის შედეგს და მიუხედავად ამისა, მოქმედებს საკუთარი სურვილით.¹²⁸ რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, პირი, რომელიც ვერ დაიცავს წინდახედულობის თუ ყურადღებიანობის სტანდარტს, რომელიც საჭიროა ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომელსაც დაიცავდა ჩვეულებრივი გონიერი ადამიანი, მოქმედებს გაუფრთხილებლობით.¹²⁹ ამასთანავე, არსებითაა შეფასდეს ის თუ როგორ მოიქცეოდა იმავე სიტუაციაში მყოფი წინდახედული ადამიანი, რა დროსაც მხედველობაში მიიღება ზიანის მიმყენებლის ასაკი, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები და სხვ.¹³⁰

აღსანიშნავია, რომ გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა უხემ და მარტივ ფორმებად,¹³¹ რომელსაც მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიკაციისას და გარკვეულ შემთხვევებში გამორიცხავს ნორმის შემადგენლობის არსებობას მარტივი გაუფრთხილებლობისას. (მაგ. სსკ-ს 392 მუხლი)¹³²

უხეში გაუფრთხილებლობა გულისხმობს, აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს დარღვევას უჩვეულოდ მაღალი ხარისხით,¹³³ ხოლო, მარტივი

¹²⁷ ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)". *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*. გვ.114.

¹²⁸ კროპკოლერი, ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი*. თბილისი. გვ.154. ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)". *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*. გვ.115.

¹²⁹ Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „The German Law of Torts: A Comparative Treatise”. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 84.

¹³⁰ Lukas, M. (2008). In Schulze, R. & Koziol, H. eds. „*Tort Law of the European Community*”. Springer-Verlag/Wien. p. 82, line 4/3.

¹³¹ ჩიტაშვილი, ნ. (2009). „ბრალის მნიშვნელობა სახელმწიფოებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის". *სამართლის ჟურნალი #1*. გვ. 151.

¹³² ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). „*სახელმწიფოებო სამართალი*". თბილისი. გვ. 679.

¹³³ ჭანტურია, ლ., ზოიძე, ბ., ნინიძე, თ., შენგელია, რ., ხეცურიანი, ჯ.. (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III*. თბილისი. გვ. 385-386.

გაუფრთხილებლობის დროს აუცილებელი ყურადღებია ანობის მოთხოვნები ირღვევა შედარებით დაბალი ხარისხით.¹³⁴

მნიშვნელოვანია, რომ ბრალი ვალდებულების დარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია, რომელიც ფასდება ობიექტურად.¹³⁵ კერძოდ, საქმე ეხება არა რომელიმე კონკრეტული პირის შესაძლებლობებს, არამედ მისი სამოქალაქო ბრუნვის წრიდან ან ასაკობრივი ჯგუფიდან საშუალოდ აღებული პირისადმი სავალდებულო წინდახედულებას.¹³⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც ბრალის სწორედ ზემოაღნიშნულ ფორმებს ცნობს, კერძოდ, სსკ-ს 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. რაც გულისხმობს, რომ მოცემული არის ზოგადი დათქმა (პასუხისმგებლობა განზრახვის ან გაუფრთხილებლობისას), რომლის საპირისპიროდაც არსებობს შემთხვევები, როდესაც ბრალის ელემენტი უმნიშვნელო ხდება. მაგალითად, ქართული სამოქალაქო სამართალი, გარკვეულ შემთხვევებში იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც.¹³⁷ კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას განეკუთვნება მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენების შემთხვევა.

საინტერესოა, რომ ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა შემდეგი: „მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის მიყენებისას, საკითხი ეხება, ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის. გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივი

¹³⁴ ჭანტურია, ლ., ზოიძე, ბ., ნინიძე, თ., შენგელია, რ., ხეცურიანი, ჯ. (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III*. თბილისი. გვ. 385-386.

¹³⁵ ჩიტაშვილი, ნ. (2009). „ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის“. *სამართლის ჟურნალი #1*. გვ. 146.

¹³⁶ კროპკოლერი, ი. (2014). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი*. თბილისი. გვ.154.

¹³⁷ ჭანტურია, ლ., ზოიძე, ბ., ნინიძე, თ., შენგელია, რ., ხეცურიანი, ჯ. (2001). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III*. თბილისი. გვ. 387. ქოჩაშვილი, ქ. (2009). „ბრალი როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა“. *სამართლის ჟურნალი #1*. გვ. 108.

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია და შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება.¹³⁸

კანონმდებლის ასეთი მიდგომა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პირებს, რომელთა კონტროლ ქვეშაც იმყოფება მომეტებული საფრთხის წყარო, გაცნობიერებული უნდა ქონდეთ ის რისკი, რაც დაკავშირებულია ამ უკანასკნელთა ექსპლოატაციასთან და შესაბამისად, კანონმდებელი მათ ართმევს უფლებას ბრალის ელემენტის არარსებობაზე ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი ყველაზე ობიექტური თვალსაზრისითაც კი უძლურნი იყვნენ თავიდან აეცილებინათ / შეემციებინათ ასეთი ზიანი.¹³⁹

გარდა ამისა, საინტერესოა, რომ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევები გათვალისწინებულია არა მხოლოდ დელიქტურ, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობებშიც¹⁴⁰ და ეს უკანასკნელი სახელშეკრულებო სამართალში ძირითადად უკავშირდება გვაროვნული ნივთის მიწოდებისა და ფულად ვალდებულებებს, კრედიტორისა და მოვალის მიერ ვადის გადაცილებას, ასევე, ნაკლიანი შესრულებისას მოვალის პასუხისმგებლობას.¹⁴¹

ზემოაღნიშნულთა გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ სხეულისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას ზოგადი წესის მიხედვით, სამოქალაქო პასუხისმგებლობისათვის, ბრალი აუცილებელი ელემენტია, რომელიც შეიძლება გამოიხატოს განზრახვასა თუ გაუფრთხილებლობაში, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასთან გვექონდეს საქმე, როდესაც სახეზეა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული სხეულის დაზიანებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანი.¹⁴²

¹³⁸ გადაწყვეტილება, #ას-494-463-2010 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2010 წლის 9 ნოემბერი).

¹³⁹ ძლიერიშვილი, ზ., ცერცვაძე, გ., რობაქიძე, ი., სვანაძე, გ., ცერცვაძე, ლ., ჯანაშია, ლ.. (2014). „სახელშეკრულებო სამართალი“. თბილისი. გვ.693

¹⁴⁰ ძლიერიშვილი, ზ. (2013). „მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე“. ადვოკატი #2. გვ. 67

¹⁴¹ ჩიტაშვილი, ნ. (2009). „ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის“. სამართლის ჟურნალი #1. გვ. 164

¹⁴² ბარბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“. თბილისი. გვ.72. ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. მართლსაჯულება და კანონი #3(51), გვ. 102.

4. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური (არაქონებრივი) ზიანის ოდენობა

4.1 განსაზღვრის კრიტერიუმები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოცემული კი გულისხმობს, რომ კანონმდებელი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კონკრეტულ კრიტერიუმებს არ გვთავაზობს, არამედ ზოგადი პრინციპის სახით ადგენს, რომ ანაზღაურება უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული სასამართლოს შეფასების საკითხი ხდება და სწორედ, რომ მისი პეროგატივაა უფრო კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრა.¹⁴³

შესაბამისად, ამ თვალსაზრისით საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, კომპენსაციის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს ტრავმის, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების სიმძიმის ხარისხს და ისეთ გარემოებებს, რომლებიც დაზარალებულის მიერ გადატანილ ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვას ამტკიცებენ. აგრეთვე, ზიანის მიმყენებლის ქონებრივ მდგომარეობას და თავად დაზარალებულის ბრალის ხარისხის.¹⁴⁴ ასევე, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და სულიერი ტანჯვის ხარისხი.¹⁴⁵

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს, რომ „კომპენსაციის მოცულობა კი, უნდა განისაზღვროს ტრავმის, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების სიმძიმის ხარისხიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულის მიერ გადატანილ ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვას. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა ხდება, აგრეთვე, ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის, დაზარალებულის ბრალის ხარისხისა და სხვა კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით.“¹⁴⁶

გარდა ამისა, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა თანახმად, ანაზღაურება უნდა მოხდეს ფულადი ფორმით და საკითხის გადაწყვეტისას

¹⁴³ ბარაბაძე, ნ. (2004). „მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები“. *ადამიანი და კონსტიტუცია* #2, გვ. 80. ცისკაძე, მ. (2008). „სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. *მართლსაჯულება და კანონი* #2(17), გვ. 18.

¹⁴⁴ განჩინება, №ას-892-850-2013 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 1 აპრილი). განჩინება, №ას-594-562-2015 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 6 ნოემბერი).

¹⁴⁵ ჩიკვაშვილი, შ. (2003). „*პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის*“. თბილისი. გვ.96.

¹⁴⁶ განჩინება, №ას-892-850-2013 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 1 აპრილი).

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოპასუხის მოტივაცია, ბრალის ხარისხი და მოსარჩელის უფლების ხელყოფის შედეგთა სიმძიმე.¹⁴⁷

ამის საპირისპიროდ, საინტერესოა, რომ მაგალითად, ინგლისური სამართლის მიხედვით მხარეთა ფინანსური მდგომარეობა ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება.¹⁴⁸ ასევე განსხვავებულად მოქმედებს ზიანის ოდენობაზე ბრალის ხარისხი მოპასუხე მხარისა. კერძოდ, ზოგადად მთავარი ზიანის ოდენობაზე მოპასუხის ბრალის ხარისხი გავლენას არ ახდენს, თუმცა არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, როდესაც პირის ქმედებამ გამოიწვია არა კონკრეტული ტრამვა არამედ უკვე არსებული სიმპტომების გაუარესება რა შემთხვევაშიც პირს პასუხისმგებლობა მხოლოდ განზრახვის შემთხვევაში დაეკისრება, ხოლო მოსარჩელის თანაბრალეულობის შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობა პროპორციულად მცირდება.¹⁴⁹

დაზარალებულის თანაბრალეულობის საკითხის გათვალისწინება ხდება გერმანულ სამართალშიც, კერძოდ, ამ უკანასკნელს შეუძლია და ხშირ შემთხვევაში ამცირებს კიდევ ანაზღაურების ოდენობას, დაზარალებულის მცდელობის გათვალისწინებით, თავიდან აეცილებინა ფსიქიკური პრობლემები (მაგ. გაველო თერაპიის გავლით), რომლის არარსებობის შემთხვევაშიც მისი ქმედება მიიჩნევა ხელშემწყობ გაუფრთხილებლობად და გავლენას ახდენს ანაზღაურების ოდენობაზე.¹⁵⁰

ზემოაღნიშნულთა გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად, ზოგადი საკანონმდებლო რეგულაციისა და სასამართლო პრაქტიკით მისი განსაზღვრის უფრო კონკრეტული კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა, მაინც, გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმების შეფასება ყოველი ცალკეული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებისა და იმ სოციალურ ფუნქციათა განხორციელებით უნდა მოხდეს, რომელსაც მიზნად ისახავს პასუხისმგებლობის მოცემული სახე.¹⁵¹

¹⁴⁷ ცისკაძე, მ. (2008). „სხელის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. *მართლსაჯულება და კანონი* #2(17), გვ. 18.

¹⁴⁸ Halson, R. (2015). „The Recovery of Damages for Non-Pecuniary Loss in the United Kingdom: A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort“. *The Chinese Journal of Comparative Law*. p. 250. Horton Rogerts, W.V. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p. 65, line 30.

¹⁴⁹ Horton Rogerts, W.V. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p. 65, line 27-29.

¹⁵⁰ Markesinis, B; Coester, M; Alpa, G; Ullstein, A. (2005). „*Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law: A Comparative Outline*“. United Kingdom: Cambridge University Press. p.72. Magnus, U., & Fedike, J. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*“. Austria. p. 110, line 3.

¹⁵¹ ბიჭია, მ. (2016). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. *მართლსაჯულება და კანონი* #3(51), გვ. 103-104.

4.2 ანაზღაურების ოდენობა სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობის განსაზღვრის, კანონმდებლობით გათვალისწინებული დეტალური რეგულირების არარსებობითაა განაპირობებული ის გარემოება, რომ სასამართლოს გარკვეულ შემთხვევებში უწევს არსებითად შეამციროს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი კომპენსაციის ოდენობა და ზოგ შემთხვევაში 9000-ჯერაც,¹⁵² რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობას ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას.

შესაბამისად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სასამართლო ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას სხვადასხვა გარემოებებს იღებს მხედველობაში. მაგალითად, გერმანიის სასამართლომ, ერთ შემთხვევაში პირის მიერ სუნის შეგრძნების უნარის დაკარგვით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო დაზარალებულის პროფესია, შეფშარეულობა, და სამართლიან ანაზღაურებად მიიჩნია 10 000 ევრო.¹⁵³ სხვა შემთხვევაში კი ქალის მიერ ფეხის დაზიანებისა და მოძრაობის უნარის შეზღუდვით გამოწვეული მორალური ზიანის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დაზარალებულს მოუწევდა სამსახურის შეცვლა და ნაკლებ შემოსავლიან სამსახურში გადასვლა.¹⁵⁴

გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, როგორც წესი ყველაზე დიდი ოდენობით ანაზღაურება გაიცემა ტვინის დაზიანებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში.¹⁵⁵ მაგალითად, 14 წლის ბიჭს, სასამართლომ მიაკუთვნა 500 000 გ.მ ტკივილისა და ტანჯვისთვის, რომელიც განიცადა არასწორი სამედიცინო დახმარებით გამოწვეული ტვინის დაზიანების გამო.¹⁵⁶ ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა კვადრიპლეგია, ან როდესაც ადგილი აქვს სხეულის ნაწილის დაკარგვასა თუ სრულ სიბრმავეს.¹⁵⁷

¹⁵²ზარაბაძე, ნ. (2004). „მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები“. *ადამიანი და კონსტიტუცია* #2, გვ. 78.

¹⁵³ Markesinis, B; Coester, M; Alpa, G; Ullstein, A. (2005). „*Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law: A Comparative Outline*“. United Kingdom: Cambridge University Press. p.70

¹⁵⁴ იქვე;

¹⁵⁵ Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „The German Law of Torts: A Comparative Treatise“. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 922. Sugarman, S. D. ((forthcoming 2013)). „Tort Damages for Non-economic Losses (in cases of physical injury to the person) “. In Bussani, M. and Sebok, A. eds., A Chapter from Comparative Tort Law. Edward Elgar. p. 235.

¹⁵⁶ Markesinis, B.S.; Unberath, H.. (2002). „The German Law of Torts: A Comparative Treatise“. OXFORD AND PORTLAND, OREGON. p. 922.

¹⁵⁷ Markesinis, B; Coester, M; Alpa, G; Ullstein, A. (2005). „*Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law: A Comparative Outline*“. United Kingdom: Cambridge University Press. p. 49;

საყურადღებოა ისიც, რომ ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას გარკვეულ ქვეყნებში მხედველობაში მიიღება ფულის ინფლაციის საკითხი. კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებისას არ შეიძლება გათვალისწინებული იქნას ადრეული სასამართლო პრაქტიკა საკომპენსაციო თანხების გაცემის დროისათვის არსებული კურსის გათვალისწინების გარეშე.¹⁵⁸ ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში ითვალისწინებენ არამხოლოდ ინფლაციას, არამედ ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობასაც.¹⁵⁹

რაც შეეხება ქართულ სასამართლო პრაქტიკას, კვადრიპლეგიის შემთხვევა განხილვის საგანი არ გამხდარა, ხოლო, სხეულის ნაწილის დაკარგვა, ამ შემთხვევაშიც, ყველაზე დიდი ოდენობით ანაზღაურდება. თუმცაღა საინტერესოა, რომ უმეტეს შემთხვევებში არსებითია სხვაობა დაზარალებულის მიერ მოთხოვნილ ანაზღაურებასა და სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ ნაწილს შორის. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, რომლის მიხედვითაც დაზარალებულმა დაკარგა ორივე ზედა კიდური, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი იყო 3 300 000 ლარის ანაზღაურება, საიდანაც პირველმა ინსტანციამ სამართლიან ანაზღაურებად 100 000 ლარი მიიჩნია, საკასაციო სასამართლომ კი 300 000 ლარი.¹⁶⁰ ანალოგიურ საქმეზე კი რომელშიც დაზარალებულმა დამწვრობის გამო დაკარგა მარჯვენა ხელი (მოხდა ამპუტირება) და ასევე, მარცხენა ხელის ფუნქცია, მოთხოვნილი 800 000 აშშ დოლარიდან მიიღო 100 000 აშშ დოლარი.¹⁶¹ სხვა საქმეზე კი, ქვედაკიდურების დაკარგვით გამოწვეული მორალური ზიანი ანაზღაურდა 50 000 ლარით, მაშინ როდესაც მოთხოვნილი იყო 500 000 ლარი.¹⁶²

აღნიშნული ცხადყოფს, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაზარალებულის მიერ განცდილი არაქონებრივი ზიანი, სუბიექტური თვალსაზრისით გაცილებით უფრო ძვირად ფასდება, მაშინ, როდესაც სასამართლოს უწევს გარკვეული ობიექტური

Sugarman, S. D. ((forthcoming 2013)). „Tort Damages for Non-economic Losses (in cases of physical injury to the person) “. In Bussani, M. and Sebok, A. eds., A Chapter from Comparative Tort Law. Edward Elgar. p 235.

¹⁵⁸ Sugarman, S. D. ((forthcoming 2013)). „Tort Damages for Non-economic Losses (in cases of physical injury to the person) “. In Bussani, M. and Sebok, A. eds., A Chapter from Comparative Tort Law. Edward Elgar. p.221. Эрделевский А. М. (2004). „Компенсация морального вреда: анализ и комментарий законодательства и судебной практики“. с.т. 32.

¹⁵⁹ Sugarman, S. D. ((forthcoming 2013)). „Tort Damages for Non-economic Losses (in cases of physical injury to the person) “. In Bussani, M. and Sebok, A. eds., A Chapter from Comparative Tort Law. Edward Elgar. p.235.

¹⁶⁰ გადაწყვეტილება, ას-543-518-2016 (საქართველოს უზენაესი 2016 წლის 23 დეკემბერი).

¹⁶¹ გადაწყვეტილება, ას-43-745-03 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2003 წლის ოქტომბერი 22).

¹⁶² გადაწყვეტილება, ას-756-717-2013 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2014 წლის 1 იანვარი).

კრიტერიუმების გათვალისწინებით მოთხოვნა გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს დაუქვემდებაროს და განსაზღვროს მისი დაკმაყოფილებადი ნაწილი.

5. არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება ალქმა-გაცნობიერების უნარის დაკარგვისა და დაზარალებულის გარდაცვალებისას

აუცილებელია აღინიშნოს, რომ თავისებურად საინტერესო და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, შემთხვევები, როდესაც არაქონებრივი ზიანი რეალურად დგება, თუმცა სადაოა არსებობს თუ არა საერთოდ მოთხოვნა და თუ არსებობს ვისი ვის მიმართ. სწორედ მოცემულ პრობლემატიკასთან გვაქ საქმე, როდესაც დაზარალებული კარგავს ალქმა-გაცნობიერების უნარს (კომაში ჩავარდნა) ან უფრო მეტი, როდესაც გარდაიცვლება.

5.1 ალქმა-გაცნობიერების უნარის დაკარგვის შემთხვევა

ალქმა-გაცნობიერების უნარის დაკარგვისას, საკითხს კიდევ უფრო ართულებს ის, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს დანაწესს მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მოცემულ შემთხვევაში და არც სასამართლოს განხილვის საგანი გამხდარა ეს უკანასკნელი საკითხი. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც უკვე აღინიშნა, მორალური ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის შემცირებისა და დაზარალებულის სულიერი წონასწორობის აღდგენის, მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქების საშუალებას,¹⁶³ ცნობიერება დაკარგული პირი კი შეუძლებელია განიცდიდეს ასეთ ტანჯვას, ზიანის ანაზღაურების აუცილებლობაც არ არსებობს.

ანალოგიური მდგომარეობაა, მაგალითად, ჰოლანდიაში, სადაც მოცემული შემთხვევა, ასევე, არ გამხდარა განხილვის საგანი თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში აქტიურად განიხილება საკითხი განიცდის თუ არა კომაში მყოფი პირი არაქონებრივ ზიანს ან გრძნობს თუ არა რაიმეს, და მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძელი არ არსებობს.¹⁶⁴ ერთის მხრივ იმიტომ, რომ ცნობიერება დაკარგული პირი არ განიცდის არანაირ არაქონებრივ ზიანს, რადგან ამის უნარი არ აქვს და მეორეს მხრივ იმიტომ, რომ ანაზღაურებით ვერ იქნება მიღწეული დაზარალებულის დაკმაყოფილების მიზანი, რამდენადაც ამ უკანასკნელს არ შესწევს უნარი მისი გამოყენებისა.¹⁶⁵

¹⁶³ ბარაბაძე, ნ. (2005). „მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები“. *ადამიანი და კონსტიტუცია* #3, გვ. 68. გადაწყვეტილება, # ას-660-660-2018 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2018 წლის 20 ივლისი). ძლიერიშვილი, ზ. (2012). „სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)“. *სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი*. გვ.111.

¹⁶⁴ Fézer, T. (2013). „*Comparative Tort Law*“. Debrecen. p. 49.

¹⁶⁵ Fézer, T. (2013). „*Comparative Tort Law*“. Debrecen. p. 49.

ამის საპირისპიროდ, განსახილველი საკითხის გერმანულ სამართლისეული გადაწყვეტის მიხედვით, კომპენსაცია არ არის დამოკიდებული დაზარალებულს აქვს უნარი ტკივილისა და ზიანის შედეგების შეგრძნებისა თუ დაკარგულია ეს უკანასკნელი უნარი. მას მოთხოვნის უფლება აქვს თავისი პიროვნებულობის სრული თუ ნაწილობრივი დანგრევისათვის.¹⁶⁶ ამასთანავე, ანაზღაურების საფუძვლად მიჩნეულია ადამიანური ღირსების შელახვა, რომელიც ანაზღაურების არა სუბიექტური, არამედ ობიექტური საფუძველია და შესაბამისად, არ არსებობს აღქმა გაცნობიერების აუცილებლობა.¹⁶⁷

ანალოგიური მიდგომაა განვითარებული ფრანგულ სამართალშიც, კერძოდ, დაზარალებულს აუნაზღაურდება „არაკომფორტული ცხოვრებით“ გამოწვეული მორალური ზიანი მიუხედავად იმისა, რომ თავად არ აქვს შესაძლებლობა შეიგრძნოს იგი.¹⁶⁸

ზემოაღნიშნულთა და იმის გავითვალისწინებთ, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას აქვს არამხოლოდ ზიანის კომპენსირების, არამედ პრევენციული ფუნქცია,¹⁶⁹ დაზარალებულის მიერ აღქმა-გაცნობიერების უნარის დაკარგვის შემთხვევაშიც დავინახავთ მისი ანაზღაურების აუცილებლობას და შესაბამისად, საკითხის სწორედ, რომ ამ ფორმით გადაწყვეტას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

5.2 დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევა

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ის თუ რა მოთხოვნები არსებობს დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მის მემკვიდრეთათვის. კერძოდ, პრობლემურია ერთის მხრივ ის აქვთ თუ არა მათ უფლება მოითხოვონ მამკვიდრებლის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, როგორც მემკვიდრეებმა და მეორეს მხრივ ის თუ რა მოთხოვნები წარმოეშობათ უშუალოდ თვითონ.

¹⁶⁶ Magnus, U. (2015). „Damages for Non-Pecuniary Loss in German Contract and Tort Law”. *The Chinese Journal of Comparative Law*. p. 399.

¹⁶⁷ Magnus, U., & Fedike, J. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*”. Austria. p. 113, line 9.

¹⁶⁸ Cannarsa, M. (2002). „*Compensation for Personal Injury in France*”. p. 19-20

Retrieved from <http://www.jus.unitn.it/cardozo/Review/2002/Cannarsa.pdf>;

Galand-Carval, S. (2001). In W. V. Horton Rogerts (eds.). „*Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective*”. Austria. p. 96, line 37.

¹⁶⁹ Faure, M. G. (2000). „compensation of non-pecuniary loss: an economic perspective”. In Magnus, Ulrich & Spier, Jaap (eds.). „*European tort law: liber amicorum for Helmut Koziol*”. P. Lang. p.148. Fézer, T. (2013). „*Comparative Tort Law*”. Debrecen. p. 8.

ა. მემკვიდრეთა მიერ მამკვიდრებლისათვის მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

იმის გათვალისწინებით, რომ არაქონებრივი ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ მისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, და მისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებით არ შეიძლება ისარგებლოს სხვა პირმა.¹⁷⁰ მოცემული მიდგომა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მორალური ზიანის მოთხოვნის წინაპირობები კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული, სიკვდილი კი ასეთ წინაპირობას არ წარმოედგენს. შესაბამისად, პირის მემკვიდრეებს დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში არ აქვთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მემკვიდრეობის საფუძვლით. აღნიშნული გამომდინარეობს იქედან, რომ პირის პირადი უფლებები, რომლის ახლობელიც გარდაიცვალა, არ არის შელახული (შესაბამისად, არ არსებობს მოთხოვნის წინაპირობა), ხოლო ვისიც შელახულია, მას ამ უფლების დაცვა მხოლოდ თავად შეეძლო, როგორც პიროვნული უფლებისა.¹⁷¹

ასეთივე მიდგომაა განვითარებული ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც და მიჩნეულია, რომ არაქონებრივი ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, სხვა პირი, ფაქტობრივად, არაა უფლებამოსილი, მოითხოვოს ანაზღაურება.¹⁷²

საყურადღებოა, რომ გარდაცვლილის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ ერთ გამონაკლის შემთხვევაშია დაკმაყოფილებადი, კერძოდ, თუ დაზარალებულმა გარდაცვალებამდე მიმართა სასამართლოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანამდე ის გარდაიცვალა,¹⁷³ ამ შემთხვევაში არამატერიალური ზიანის ფულადი საზღაური შეიძლება ჩაითვალოს

¹⁷⁰ ბიჭია, მ. (2016). „დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა“. *სამართალი და მსოფლიო #4*, გვ. 52. ცისკაძე, მ. (2008). „სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. *მართლსაჯულება და კანონი #2(17)*, გვ. 19.

¹⁷¹ Lahe, J; Kull, I. (2016). „Compensation on non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person“. *International Comparative Jurisprudence*. p.2. Magnus, U. (2003). „*The Reform of German Tort Law*“. Barcelona. p. 6. ბიჭია, მ. (2016). „დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა“. *სამართალი და მსოფლიო #4*, გვ. 52.

¹⁷² გადაწყვეტილება, # 3კ-1218-01 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2002 წლის 24 აპრილი).

¹⁷³ ბიჭია, მ. (2016). „დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა“. *სამართალი და მსოფლიო #4*, გვ. 52.

სამკვიდრო მასის შემადგენელ ნაწილად და სასამართლო პროცესში უფლებამონაცვლედ ჩართული უნდა იქნან მოსარჩელის მემკვიდრეები.¹⁷⁴

ბ. გარდაცვლილის მემკვიდრეთა დამოუკიდებელი მოთხოვნა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალეზოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო.

მოცემული ნორმა უფლების წამოშობას პირის გარდაცვალებას უკავშირებს, რაც თავის ტვინის ფუნქციის შეუქცევად დაკარგვას და სამედიცინო დანადგარის მიერ თავის ტვინის ფუნქციონირების ამსახველი ტალღების ჩვენების საბოლოოდ შეწყვეტასთანაა დაკავშირებული.¹⁷⁵ შესაბამისად, ამ მომენტიდან დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფ პირებს წარმოშობათ უფლება მოითხოვონ ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რომელიც სარჩოს მიღებაში გამოიხატება.¹⁷⁶ მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ს 1006-ე მუხლის საფუძველზე, მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა გამომდინარეობს ნორმაში მხოლოდ „ზიანზე“ მითითებით, რაშიც მხოლოდ ქონებრივი ზიანი უნდა მოიაზრებოდეს, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ ყველგან სადაც ვხვდებით ზიანზე მითითებას იმავდროულად უნდა მოვიაზროთ არაქონებრივი ზიანი, რაც სსკ-ს 413-ე მუხლის არსებობას აზრს უკარგავს.¹⁷⁷

რაც შეეხება მემკვიდრეთა მიერ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მოცემული შესაძლებელია თუ ახლო ნათესავის გარდაცვალებამ გამოიწვია პირის სულიერ ტანჯვასთან ერთად მისი ფიზიკური ტანჯვაც, ანუ ზიანი მიადგა მის ჯანმრთელობას, რა შემთხვევაში მას წარმოემოზა დამოუკიდებელი მოთხოვნა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე.¹⁷⁸

ანალოგიურად წყდება საკითხი, თუ ახლობელი დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების ფაქტს ესწრებოდა, რამაც გამოიწვია მის მიმართ ფიზიკური და ზნეობრივი

¹⁷⁴ ცისკაძე, მ. (2008). „სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. *მართლსაჯულება და კანონი* #2(17). გვ. 19.

¹⁷⁵ ზოიძე, ბ. (2017). *civilcode.ge*. სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი. მუხლი 11, ველი 16.

¹⁷⁶ ბიჭია, მ. (2016). „დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა“. *სამართალი და მსოფლიო* #4, გვ. 51.

¹⁷⁷ იქვე;

¹⁷⁸ ბიჭია, მ. (2016). „დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა“. *სამართალი და მსოფლიო* #4, გვ.53. გადაწყვეტილება, 28/2774-11 (თბილისის სააპელაციო სასამართლო 2011 წლის 17 ნოემბერი). განჩნება, №ას-868-817-2010 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2010 წლის 22 ნოემბერი).

ტანჯვა. მასაც ასეთ შემთხვევაში დაზარალებულისაგან დამოუკიდებლად წარმოემობა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება და ხდება მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელი სუბიექტი.¹⁷⁹

ამასთანავე, მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი არის არა ის, რომ ზიანი მიადგა უშუალოდ გარდაცვლილს, არამედ ის, რომ ქმედების შედეგად დაირღვა მესამე პირის უფლება, რის საფუძველზეც ამ უკანასკნელის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი და შესაბამისად, მას დამოუკიდებლად აქვს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.¹⁸⁰

თუმცადა გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამ თვალსაზრისით ქართული სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია. კერძოდ, იდენტურ შემთხვევებში მიღებულია ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილებანი. ერთ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ შვილის გარდაცვალების შედეგად, დედას, რომლის ჯანმრთელობასაც მიადგა ზიანი უნდა მიეცეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც,¹⁸¹ მეორე შემთხვევაში კი სასამართლო მიიჩნევს, რომ მორალური ზიანი არ უნდა ანაზღაურდეს, რათა არ მოხდეს კანონით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება.¹⁸²

6. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმის განხილვის თავისებურებანი

მნიშვნელოვანია, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეთა განხილვა ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, რომლებიც, თავის მხრივ, უკავშირდება როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის საფუძვლებს. შესაბამისად, საკითხის მატერიალურ სამართლებრივ ჭრილში განხილვასთან ერთად აუცილებელია მოკლედ შევეხოთ პროცესუალურ საკითხებსაც.

6.1 წარმოების სახე, სარჩელის საგანი და საფუძველი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში „სსსკ“) 177-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო საქმე სასამართლოში აღიძვრება სარჩელით ან განცხადებით. მოცემული დანაწესი განსაზღვრავს სადაოდ გამხდარი უფლების

¹⁷⁹ ჩიკვაშვილი, შ. (2003) „პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის“. თბილისი. გვ.131.

¹⁸⁰ Lahe, J; Kull, I. (2016). „Compensation on non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person“. *International Comparative Jurisprudence*. p. 2.

¹⁸¹ განჩნება, №ას-868-817-2010 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2010 წლის 22 ნოემბერი).

¹⁸² გადაწყვეტილება, ას-1156-1176-2011 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2012 წლის 20 იანვარი).

დაცვის სამართალწარმოების ფორმებს, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელით სასამართლოს მიემართება მაშინ, როდესაც კონკრეტული უფლება სადაოა,¹⁸³ სხეულისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, წარმოების სათანადო სახე სწორად, რომ სასარჩელო იქნება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სარჩელის საგანი, კერძოდ ეს არის მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი, რომელიც უნდა განიხილოს სასამართლომ. ანუ სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი.¹⁸⁴ შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სარჩელის საგანი შეიძლება იყოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც ზიანის ანაზღაურების სხვა მოთხოვნასთან (მაგ. ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის კომპენსირებასთან) ერთად, ისე დამოუკიდებლადაც.¹⁸⁵

ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია სარჩელის საგანი იყოს მხოლოდ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება ან კომბინირებულად ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან ერთად იქნას მოთხოვნა დაყენებული. ამ თვალსაზრისით ქართული კანონმდებლობა რაიმე სახის შეზღუდვას არ შეიცავს, მაგალითად, საერთო სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ არაქონებრივი ზიანის მოთხოვნა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.¹⁸⁶

რაც შეეხება სარჩელის საფუძველს, ასეთ დროს საქმე ეხება გარემოებებს, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს მოპასუხის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნას. ცხადია, აქ იგულისხმება როგორც გარემოებები, რომელთა დადგომაც იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას, ისე სამართლებრივი საფუძველიც ანუ, მატერიალური სამართლის ნორმები, რომელსაც ეფუძნება მოსარჩელის მოთხოვნა.¹⁸⁷ შესაბამისად, სხეულისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ს 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ხოლო ფაქტობრივი

¹⁸³ ლილუაშვილი, თ. (2005). „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. თბილისი. გვ.270. ქურდაძე, შ., ხუნაშვილი, ნ. (2015). „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. თბილისი. გვ. 270.

¹⁸⁴ ლილუაშვილი, თ. (2005). „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. თბილისი. გვ. 273.

¹⁸⁵ ბიჭია, მ. (2017). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქო პროცესში“. *სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი*, გვ 61-62.

¹⁸⁶ ცისკაძე, მ. (2008). „სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. *მართლსაჯულება და კანონი #2(17)*. გვ. 17.

¹⁸⁷ ბიჭია, მ. (2017). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქო პროცესში“. *სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი*, გვ. 65.

საფუძვლები არის, საქმის ის კონკრეტული გარემოებები, რომელმაც მოსარჩელეს წარმოუშვა მოთხოვნა

6.2 მხარეები და მათი მტკიცების ტვირთი

საყურადღებოა, რომ იურიდიული შედეგის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სათანადო მხარეების განსაზღვრა. კერძოდ, ვინ უნდა იყოს უშუალოდ მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ერთი მხრივ მოსარჩელე, რომელსაც აქვს შესაბამისი მოთხოვნის უფლება და მეორეს მხრივ ვის მიმართ უნდა იქნას წარდგენილი მოთხოვნა, ვინ უნდა იყოს მოპასუხე, ვის ეკისრება ვალდებულების შესრულების მოვალეობა.¹⁸⁸ მოცემული საკითხების სწორად გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია სარჩელის წარმატებულობა.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელედ მოიაზრება პირი, რომელიც სულიერსა და ფიზიკურ ტანჯვას განიცდის ან გამონაკლისის სახით მისი უფლებამონაცვლე, მხოლოდ, იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულმა გარდაცვალებამდე მიმართა სასამართლოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანამდე ის გარდაიცვალა,¹⁸⁹ ხოლო მოპასუხეა ის, ვისმა ქმედებამაც გამოიწვია მოსარჩელის ტანჯვა.

მტკიცების ტვირთთან მიმართებით კი მნიშვნელოვანია, რომ სსსკ- 102-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ზიანის, როგორც ფაქტის ისე მისი ოდენობის, მტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულს,¹⁹⁰ თუმცადა, როგორც უკვე აღინიშნა, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, „მორალური ზიანის პრეზუმფციის შესახებ“,¹⁹¹ რომელსაც სასამართლოები ფაქტობრივად უკვე იყენებენ. შესაბამისად, მოცემული იწვევს მტკიცების ტვირთის შებრუნებას, რაც გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევმა უნდა ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და მანვე აგოს პასუხი, ნაცვლად დაზარალებულისა, რომელმაც კანონის დარღვევით განიცადა ზიანი.¹⁹²

¹⁸⁸ ქურდაძე, შ., ხუნაშვილი, ნ.. (2015). „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. თბილისი. გვ. 161-162.

¹⁸⁹ ბიჭია, მ. (2016). „დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა“. *სამართალი და მსოფლიო* #4, გვ. 52. ცისკაძე, მ. (2008). „სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. *მართლსაჯულება და კანონი* #2(17). გვ. 19

¹⁹⁰ ძლიერიშვილი, ზ. (2013). „მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე“. *ადვოკატი* #2. გვ. 32.

¹⁹¹ ბარაბაძე, ნ. (2012). „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“. თბილისი. გვ.67. ჩიკვაშვილი, შ. (2003). „პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის“. თბილისი. გვ. 82.

¹⁹² ჩიკვაშვილი, შ. (2003). „პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის“. თბილისი. გვ. 82.

6.3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის. მოცემული დანაწესიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში - არის მხარეების, განმცხადებლისა და მესამე პირების (დამოუკიდებელი მოთხოვნით), შენატანები, რაც მათ მიერ გადახდილ უნდა იქნას კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით, რათა განხილულ იქნას მათ დაინტერესებაში არსებული საკითხი.¹⁹³

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრის ორი მეთოდი არსებობს, კერძოდ, ერთი როდესაც, კანონი ზუსტად განსაზღვრავს კონკრეტულ შემთხვევაში გადასახდელი ბაჟის ოდენობას (მარტივი) და მეორე, როდესაც კანონმდებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობას განსაზღვრავს იმ თანხების მოცულობის პროცენტულად, რომელსაც შეადგენს სარჩელის, საჩივრისა თუ განცხადების ფასი (პროპორციული).¹⁹⁴

შესაბამისად, ზემოაღნიშნულთა გათვალისწინებით, იმისათვის, რომ განხილულ იქნას პირის მოთხოვნა სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, აუცილებელია, რომ გადახდილ იქნას სახელმწიფო ბაჟი. სავარაუდოა, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ბაჟის გადახდა უნდა მოხდეს ზოგადი წესის მიხედვით, რაც სარჩელის დროს წარმოადგენს დავის საგნის ღირებულების 3%-ს (სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი).¹⁹⁵

მიუხედავად ზემოთქმულისა, მნიშვნელოვანია ყურადღება იქნას გამახვილებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის, პირველი პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე; ასევე, მოსარჩელები - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ იმისათვის, რომ პირი გათავისუფლდეს ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან უნდა არსებობდეს შემდეგი პირობები კუმულაციურად: ა. დანაშაული დადასტურებული უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით და ბ. მოთხოვნა უნდა ეხებოდეს მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. ეს უკანასკნელი, კი თავის მხრივ გულისხმობს, რომ დანაშაულით მიყენებულ

¹⁹³ ლილუაშვილი, თ. (2005). „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. თბილისი. გვ. 194-195

¹⁹⁴ იქვე

¹⁹⁵ ბიჭია, მ. (2017). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქო პროცესში“. *სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი*, გვ. 65

არაქონებრივ (მორალურ) ზიანთან დაკავშირებული მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟისგან არ თავისუფლდება.¹⁹⁶

6.4. მოთხოვნის ხანდაზმულობა

ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში გამოხატავს იმ აზრს, რომ რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე.¹⁹⁷ შესაბამისად, მოთხოვნის განხორციელება შეზღუდულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადით, კერძოდ, დროით რომლის განმავლობაშიც უფლებადარღვეულ პირს, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა.¹⁹⁸

აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი გასვლის შემდგომ მართალია მოთხოვნის უფლება მატერიალურ-სამართლებრივად განაგრძობს არსებობას, თუმცაღა მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მის შესრულებაზე, ანუ მისი დაკმაყოფილება გამოირიცხება პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.¹⁹⁹

სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადად კი მიჩნეულია სამი წელი.²⁰⁰

¹⁹⁶ ბიჭია, მ. (2017). „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქო პროცესში“. *სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი*, გვ. 66

¹⁹⁷ გადაწყვეტილება, #ას-826-784-2013 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2013 წლის 9 დეკემბერი).

¹⁹⁸ კვანტალიანი, ნ. (2017). *civilcode.ge*. სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი. მუხლი 128, ველი 2.

¹⁹⁹ იქვე; ველი 19.

²⁰⁰ ჯორბენაძე, ს. (2017). *civilcode.ge*. სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი. მუხლი 18, ველი 120.

III. დასკვნა

გათვალისწინებით იმისა, რომ სხეულის დაზიანების ან/და ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, უნდა ითქვას, რომ მოცემული თემის დეტალური შესწავლა, ურთიერთობის ყველა მხარეს, უქმნის წარმოდგენას თავისი უფლებებისა თუ ქმედების სავარაუდო შედეგების თაობაზე.

თემის ფარგლებში განხილულ იქნა არაქონებრივი ზიანის ერთიანი ცნების განსაზღვრის აუცილებლობის საკითხი და უნდა აღინიშნოს, რომ უპირანი იქნება მოხდეს მისი განმარტება, როგორც ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვისა, რომელიც განიცადა პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. აღნიშნული თავის მხრივ ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას, და ხშირ შემთხვევაში არასწორ ტერმინთა, აღმოფხვრას.

გარდა ამისა, საკვლევი თემის ფარგლებში სხეულის დაზიანებისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრინციპების, ამოცანებისა თუ ფუნქციების ზოგადად ზიანის ანაზღაურების ამოსავალ პრინციპებთან, ამოცანებთან თუ ფუნქციებთან მიმართების გაანალიზებამ ცხადყო მათ შორის გარკვეულ სხვაობათა არსებობა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკის სიუხვის გათვალისწინებით, მეტ-ნაკლებად განისაზღვრა ის ძირითადი ასპექტები, რომელთა მხედველობაში მიღებითაც განისაზღვრება კომპენსაციის ოდენობა, თუმცაღა მაინც, ისეთი კრიტერიუმების დადგენა, რომ იგი იყოს უნივერსალური ყველა შემთხვევისთვის შეუძლებელია, რამდენადაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ, ყველა ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს კომპენსაციის ოდენობა. მოცემული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ როგორც ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებები და ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის ფიზიკური თუ ფსიქიკური თავისებურებების გათვალისწინებით, ისე ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი თუ ქონებრივი მდგომარეობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ როდესაც სასამართლო მხედველობაში იღებს ზიანის მიმყენებლის ქონებრივ მდგომარეობას, გაურკვეველი და ბუნდოვანი რჩება ის თუ რა კავშირშია პირის ქონებრივი მდგომარეობა დაზარალებული მხარის სულიერი ტანჯვის ხარისხთან, თუმცაღა, მეორეს მხრივ, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ქართული სასამართლო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას ითვალისწინებს რა, რომ მორალური ზიანის სრულად კომპენსირება შეუძლებელია, მის ანაზღაურებას მოჰასუხე მხარეს აკისრებს პრევენციის ფუნქციისა და დაზარალებულის მორალური დაკმაყოფილების მიზნიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, პრაქტიკის კვლევამ ცხადყო, რომ არაერთგვაროვანია სასამართლოს მიდგომა იმ პირთა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით, რომელთა ჯანმრთელობასაც ზიანი მიაღდა ოჯახის წევრის გარდაცვალებით. კერძოდ, იდენტურ შემთხვევებში მიღებულია ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული

გადაწყვეტილებანი. ერთ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ შვილის გარდაცვალების შედეგად, დედას, რომლის ჯანმრთელობასაც მიადგა ზიანი უნდა მიეცეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც,²⁰¹ მეორე შემთხვევაში კი სასამართლო მიიჩნევს, რომ მორალური ზიანი არ უნდა ანაზღაურდეს, რათა არ მოხდეს კანონით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება.²⁰² პრაქტიკის ასეთი არაერთგვაროვნება განპირობებული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ის ცალსახად მოიცავს დაზარალებულის ახლობელთა, მოთხოვნის უფლებასაც, რომელთაც ფსიქიკურთან ერთად განიცადეს ფიზიკური ტანჯვაც, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ნორმის ასეთმა განმარტებამ, შესაძლოა, არასახარბიელო შედეგებამდე მიგვიყვანოს (ზოგიერთ შემთხვევაში დაუსაბუთებელი და არარსებული ზიანის კომპენსაციის სახით), სასამართლოს უწევს ზღვარი დაუდოს ნორმას და თავიდან აიცილოს მისი მართლაც დაუსაბუთებელი გაფართოება. თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ცალსახაა, რომ აუცილებელია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, რამდენადაც მისი არაერთგვაროვნება ართულებს მართლსაჯულების განხორციელებას, ამცირებს სასამართლოს ავტორიტეტს და ადაიანებში იწვევს უსამართლობის განცდას.

აღსანიშნავია ისიც, რომ თემის ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი პრობლემური საკითხი, როგორცაა პირის მიერ ცნობიერების დაკარგვის შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი. მოცემულთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა გაანალიზებითა და შეჯერებით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად პირდაპირი საკანონმდებლო ჩანაწერისა თუ სასამართლო პრაქტიკის არარსებობისა, უნდა მოხდეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. მოცემული პოზიციისადმი უპირატესობა გამომდინარეობს, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფუნქციიდან - შეგავლენა მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და ამასთანავე, მოახდინოს დანაშაულების პრევენცია.

და ბოლოს, სტატიის ფარგლებში პროცესუალური საკითხების განხილვამ ცხადყო, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება დაკავშირებულია, როგორც მატერიალური საფუძვლების, ისე პროცესუალური საკითხების სწორად განსაზღვრასა და მოთხოვნის განხორციელების ვადების დაცვასთან.

²⁰¹ განჩნება, №ას-868-817-2010 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2010 წლის 22 ნოემბერი).

²⁰² გადაწყვეტილება, ას-1156-1176-2011 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2012 წლის 20 იანვარი).

გამოყენებული ლიტერატურა

- ბარაბაძე ნინო „მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა“. თბილისი. 2012.;
- ბარაბაძე ნინო „მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები“. ადამიანი და კონსტიტუცია #3. 2005. გვ. 67-78;
- ბარაბაძე ნინო „მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები“. ადამიანი და კონსტიტუცია #2. 2004. გვ. 78-86;
- ბიჭია მიხეილი „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“. მართლსაჯულება და კანონი #3(51). 2016. გვ. 98-107;
- ბიჭია მიხეილი „გრიგოლ რცხილადის სტატიის – „მორალური ზიანის ანაზღაურება“ – ანალიზი“. სამართალი და მსოფლიო #8. 2017. გვ. 75-91;
- ბიჭია მიხეილი „პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან“. თსუ, იურიდიული ფაკულტეტი სამართლის ჟურნალი #1. 2017. გვ. 5-28;
- ბიჭია მიხეილი „დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა“. სამართალი და მსოფლიო #4. 2016. გვ.46-58;
- ბიჭია მიხეილი „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქო პროცესში“. სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი. 2017. გვ.53-77;
- გალდავა გულნაზი „სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის მიხედვით". სამართლის ჟურნალი #1. 2009. გვ. 116-142;

დოლონაძე ლევანი „მორალური ზიანის ანაზღაურება". (სადოქტორო ნაშრომი). 2010;

დოლონაძე ლევანი „არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება". თეუსუ #2. 2010. გვ. 140-144;

დუნდუა მზია „დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა". სამართლის ჟურნალი #1. 2009. გვ. 52-60;

კროპკოლერი იან გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი. თბილისი. 2014.

კვანტალიანი ნუნუ „მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის". მართლსაჯულება და კანონი #2(33). 2012. გვ. 5-15;

ლილუაშვილი თენგიზი „სამოქალაქო საპროცესო სამართალი". თბილისი. 2005;

ოსაკვე კრისტოფერ „ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება". თბილისი. 2015;

პეპანაშვილი ნინო „სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება". სადოქტორო ნაშრომი. 2016;

რუსიაშვილი, გ., & ეგანატაშვილი, დ. „კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში". თბილისი. 2016;

ქოჩაშვილი ქეთევანი „ბრალი როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა". სამართლის ჟურნალი #1. 2009. გვ. 78-115;

ქურდაძე შალვა, ხუნაშვილი ნინო	„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. თბილისი. 2015;
ჩიკვაშვილი შალვა	„პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის“. თბილისი. 2003;
ჩიტაშვილი ნათია	„ბრალის მნიშვნელობა სახელმწიფო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის“. სამართლის ჟურნალი #1. 2009. გვ. 143-218;
ცისკაძე მარიამი	„სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში“. მართლსაჯულება და კანონი #2(17). 2008. გვ. 16-21;
ძლიერიშვილი ზურაბი, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევანი	„სახელმწიფო სამართალი“. თბილისი. 2014;
ძლიერიშვილი ზურაბი	„მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე“. ადვოკატი N2. 2013. გვ. 30-42;
ძლიერიშვილი ზურაბი	„სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)". სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი. 2012. გვ. 105-119;
ჭანტურია ლადო (რედ.), ზოიძე ბესარიონი, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. თბილისი. 2001;
ჭანტურია ლადო (რედ.)	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი. civilcode.ge .
ხუბუა გიორგი	„სამართლის თეორია“. თბილისი. 2004;
Cannarsa Michel	„Compensation for Personal Injury in France". 2002. Retrieved from

<http://www.jus.unitn.it/cardoza/Review/2002/Cannarsa.pdf>

- Faure Michael G. „Compensation of non-pecuniary loss: an economic perspective”. In Magnus, Ulrich & Spier, Jaap (eds.). „European tort law: liber amicorum for Helmut Koziol”. P. Lang. 2000, p. 143-159;
- Fézer Tamás „Comparative Tort Law”. Debrecen. 2013;
- Halson Roger „The Recovery of Damages for Non-Pecuniary Loss in the United Kingdom: A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort”. The Chinese Journal of Comparative Law. 2015. p. 245-267;
- Lahe Janno; Kull Irene „Compensation on non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person”. International Comparative Jurisprudence. 2016;
- Magnus Ulrich „Damages for Non-Pecuniary Loss in German Contract and Tort Law”. The Chinese Journal of Comparative Law. 2015. p. 289-307;
- Magnus Ulrich „The Reform of German Tort Law”. Barcelona. 2003;
- Markesinis Basil S.; Unberath Hannes; „The German Law of Torts: A Comparative Treatise”. Fourth Edition. OXFORD AND PORTLAND, OREGON. 2002;
- Markesinis Basil, Coester Michael, Alpa Guido, Ullstein Augustus „Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law: A Comparative Outline”. United Kingdom. Cambridge University Press. 2005;
- Sugarman Stephen. D. „Tort Damages for Non-economic Losses (in cases of physical injury to the person)”. Bussani, M. and Sebok, A. eds. A Chapter from Comparative Tort Law. Edward Elgar (forthcoming 2013).

Multiple authors:
Helmut Koziol (eds.);
Bjarte Askeland;
W. Jonathan Cardi; Michael D. Green;
Katarzyna Ludwichowska-Redo; Attila
Menyhárd; Olivier Moréteau; Ken
Oliphant; Keizô Yamamoto;

„Basic Questions of Tort Law from a Comparative
Perspective”. Vienna/Graz. 2015;

Multiple authors:
W. V. Horton Rogerts(eds.);
Eva Baginska; Willem H. van Boom;
Francesco D. Busnelli; Giovanni Comandè;
Herman Cousy; Dimitri Droshout; Jorg
Fedike; Suzanne Galand-Carval; Israel
Gilead; Ernst Karner; Konstantinos D.
Kerame; Helmut Koziol; Ulrich Magnus;
Miquel Martin-Casals; Mirosław
Nesterowicz; Jordi Ribot; Josep Sole;
Pierre Tercier; Mark H. Wissink

„Damages for Non-Pecuniary Loss in a
Comparative Perspective “.. Austria. 2001;

Multiple authors:
Reiner Schulze. & Helmut Koziol (eds)
Luisa Antonioli; Bjarte Askeland
Isabelle C. Durant; Josep Solé Feliu
Monika Hinteregger; Geraint Howells;
Thomas Kadner Graziano
Denis N. Kelliher; Markus Kellner
Bernhard A. Koch; Meinhard Lukas;
Ulrich Magnus; Miquel Martín-Casals;
Christoph Oertel; Ken Oliphant; André
Pereira; Robert Rebhahn; W.V.H.
Rogers; Luboš Tichý; Stefano Troiano;
Vibe Ulfbeck; Antoni Vaquer; Martin
Weitenberg; Pierre Widmer; Mark
Wissink

„Tort Law of the European Community”. ..
Springer-Verlag/Wien. 2008;

The Law Commission
Law Com No 257
The Law Commissioners:
Justice Carnwath CVO;
Andrew Burrows; Diana Faber; Charles
Harpum; Stephen Silber, QC

DAMAGES FOR PERSONAL INJURY: NON-
PECUNIARY LOSS, Item 2 of the Sixth
Programme of Law Reform: Damages. 1999.

Эрделевский *Александр Маркович*

„Компенсация морального вреда: анализ и комментарий законодательства и судебной практики“. 2004.